ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 3 მაისი, 2018 №103 (7648) ფასი: 50 თეთრი

ადა მარშანია: „უცაურია, რომ გიგა ბოკერია პარლამენტში ზის“

გვ.5

3 მაისიდან

„50 ცნობილი ქართველი ქალის 300 რეცეპტი“

წიგნი ა4 ფორმატისაა, აქვს მაგარი ყდა, დაბეჭდილია ცარცის ქაღალდზე და მთლიანად ფერადია.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

რა კავშირი აქვს ზვიად კუპრავას დაკავებას ხორავას ქუჩის ტრაგედიასთან

გვ.3

მარგველაშვილი პარლამენტიდან გაიქცა

გვ.2

„პრეზიდენტს უნდა, რომ პარლამენტმა და საზოგადოებამ მის ხუშტურებზე იაროს“

„მარგველაშვილი საპრეზიდენტო არჩევნებზე ოპოზიციის საუკეთესო კანდიდატი იქნება“

გვ.3

შალვა შავგულიძე: „ქართული ოცნება“ პრეზიდენტზე განაწყენებულია, წასვლის წინ რატომ დითირამბები არ გვიმღერაო“

„ევროპისკენ მიმავალი საქართველო სოციალისტურ წარსულში დაბრუნდა“

გვ.4

კახა მიქაია: „ოცნების“ პოლიტსაბჭოში ბოკერიასა და სააკაშვილის ყოფნას ნუკრი ქანთარიასავით აღფრთოვანებით შევხვდებით“

სამართალი

გვ.7

პროკურორი: „ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს ბრალდების მხარე დაცვის მხარეს არ აწვდის ნივთმტკიცებებს, რაც სიცრუეა“

ტარიელ კაკაბაძე: „ოქროს მოწმის“ ჩვენებით, ბრალდებულების მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი არ დასტურდება“

მედიკამენტების კონტრაბანდის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

ეკონომიკა

გვ.6

კალაძე: „შეუძლებელია იმის დაკმაყოფილება, რასაც მეტროს თანამშრომლები ითხოვენ“

„ურთიერთსოლიდარობის კანონის“ ამოქმედებიდან ერთ დღეში დაჯარიმებული მწეველები

რა მეთოდებს იყენებენ ქართველი ემიგრანტები ევროპის ქვეყნებში თავშესაფრის მისაღებად

ISSN 1987-9385

5 გიორგი გახარია პრეზიდენტის მოხსენებაზე: „სამწუხაროდ, ეს იყო უფრო პოპულისტური გამოსვლა“

5 ზაქარია ქუცნაშვილი: „არ არის ლამაზი, როცა მთავარსარდალი დარბაზიდან გადის“

6 პრეზიდენტი: „ჩვენ შევძელით და ბიზნესზე წნეხი ნამდვილად აღარ ხორციელდება, ბიზნესი დღეს თავისუფალია“

8 სომხეთის პარლამენტმა პაშინიანს მხარი არ დაუჭირა

მარგველაშვილი პარლამენტიდან გაიქცა

„პრეზიდენტს უნდა, რომ პარლამენტმა და საზოგადოებამ მის ხუშტურებზე იაროს“

შორენა მარსაგიშვილი

ბიძინა ივანიშვილის მეორედ მოსვლით ფრთაშესხმულმა მეოცნებეებმა პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილზე მიიტანეს იერიში. მათი შტურმი წარმატებული აღმოჩნდა – პრეზიდენტმა პარლამენტის სხდომათა დარბაზი პროტესტის ნიშნად დატოვა.

ყოველწლიური მოხსენება სკანდალების გარეშე რომ არ ჩაივლიდა, ეს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინ იცოდნენ. გასულ კვირას ანა ნაცვლიშვილმა იმ შპარგალკებზე ისაუბრა, რომლებიც „ქართული ოცნების“ დეპუტატებს დაურიგეს. ნაცვლიშვილის განმარტებით, საპარლამენტო უმრავლესობამ პრეზიდენტი, როგორც მავნებელი, ისე უნდა მოიხსენიოს.

ამავე შპარგალკების თანახმად, პარლამენტში გამოსვლისას პრეზიდენტისთვის მკვლელების და ნარკობარიგების შემწყალებელი უნდა დაეძახათ. ამ ყველაფრისთვის პრეზიდენტიც მზად იყო. მზად იყო, მაგრამ პარლამენტის სხდომათა დარბაზი პროტესტის ნიშნად მაინც დატოვა.

პრეზიდენტის მხრიდან მსგავსი

დემარში საქართველოს პარლამენტს არ ახსოვს. ერთადერთი გამონაკლისი 2012 წელს პარლამენტში მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა იყო. მაშინ მას ოპოზიციონერმა დეპუტატმა ჯონდი ბაღათურიამ ძალიან მწვავე კითხვები დაუსვა. ამან სააკაშვილი ძალიან გააბრაზა და ის სხდომათა დარბაზიდან გავარდა, მაგრამ რამდენიმე წუთში დაბრუნდა.

დაბრუნების მცდელობა მარგველაშვილსაც ჰქონდა, მაგრამ კანონმდებლებმა რეგლამენტის შეცვლა არ ისურვეს. ამ რეგლამენტის თანახმად კი, პრეზიდენტს დეპუტატებთან დებატების უფლება არ ჰქონდა.

დემარში საკვირველი

პრეზიდენტის ყოველწლიური გამოსვლის შემდეგ პარლამენტში დისკუსია დაიწყო, რაც, სინამდვილეში, მასზე მასირებულ შეტევად გადაიქცა. თავის დასაცავად პრეზიდენტმა მოითხოვა, რომ დისკუსიისთვის დებატების სახე მიეცათ.

პარლამენტის სპიკერმა მას განუმარტა, რომ დეპუტატებისთვის პასუხის გაცემა მას სხდომის ბოლოს, დასკვნით სიტყვაში მიეცემოდა, რაც მარგველაშვილისთვის მისაღები არ აღმოჩნდა.

– ეს დებატები არაა, როდესაც მე ვისმენ ერთმანეთის მიყოლებით განცხადებებს და არ მაქვს შესაძლებლობა, ჩავერთო დისკუსიაში. ასე რომ, თუ რაიმე პროცედურული თემა არის გასავლელი, გავიაროთ და მომეცით საშუალება, დისკუსიაში შევიდე პატივცემულ დეპუტატებთან, – მიმართა მან ირაკლი კობახიძეს.

პარლამენტის თავმჯდომარე სალი კლდესავით შეუვალი აღმოჩნდა და პრეზიდენტს ასეთი უარი სტკიცა:

– სხდომა მე მიმყავს, ბატონო გიორგი, ჩემი მოვალეობაა რეგლამენტის დაცვა. დებატების წესი დადგენილია საქართველოს პარლამენტში 1995 წლიდან, როდესაც თქვენი მეგობარი, ბატონო ზურაბ ჟვანია იყო პარლამენტის თავმჯდომარე და იმის მერე ეს წესი არ შეცვლილა.

მარგველაშვილი შეეცადა სპიკერი ძალით დაეყოლიებინა და საკანონმდებლო ორგანოს ულტიმატუმი წაუყენა:

– მე არ მახსოვს, რომ პრეზიდენტს არ ჰქონოდა პასუხის გაცემის შესაძლებლობა. გააკეთეთ ისეთი ცვლილება, რომ მე შემეძლოს დებატებში შესვლა. მიიღეთ შესაბამისი გადაწყვეტილება, წინააღმდეგ შემთხვევაში მე ამ სხდომას, რომელიც არ მაძლევს შესაძლებლობას, შევიდე დისკუსიაში დეპუტატებთან, არ დავესწრები.

კობახიძემ და კომპანიამ არც ამის შემდეგ ისურვეს დათმობაზე წასვლა. პრეზიდენტმა პარლამენტის სხდომათა დარბაზი დატოვა.

ეს ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე ეჭვობს, რომ გიორგი მარგველაშვილს ეს ნაბიჯი წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული.

– რეგლამენტის თანახმად, ჯერ გამოდიან ფრაქციები, შემდეგ სხვა სუბიექტები, მათ შორის უმცირესობა, უმრავლესობა, ვიცე-სპიკერები, სპიკერი, ამის შემდეგ აქვს მომხსენებელს, ბატონ პრეზიდენტს, საკუთარი დასკვნითი სიტყვით გამოსვლის უფლება. რეგლამენტში სწორად არის აგებული დებატების პროცედურა.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ 90-იანი წლებიდან მოქმედებს საქართველოში რეგლამენტი და კონკრეტულად ეს პროცედურა. გამომდინარე იქიდან, რომ ეს არის რაციონალური პროცედურა, ეს ეხება ასევე სხვა ტიპის დებატებს, სხვა ტიპის დისკუსიებს პარლამენტში. საქართველოს პარლამენტში პირველად დადგა ეს დებატები კითხვის ნიშნის ქვეშ. ბატონ გიორგის და ქალბატონ ადას არ მოსწონთ ჩვენი რეგლამენტი, შეგვიძლია, ვიმსჯელოთ, როგორ შეგვიძლია გადაიხედოს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი. ის, რაც გააკეთა ბატონმა გიორგიმ, სამწუხაროდ, ეს არის საქართველოს კანონმდებლობისა და პარლამენტის ინსტიტუტის უპატივცემულობა, რაც არის სამწუხარო. მე ეჭვი მიჩნდება, რომ ეს იყო წინასწარ განზრახული და დაგეგმილი ნაბიჯი, რაც კიდევ უფრო მეტად სამწუხაროა, – განაცხადა კობახიძემ.

მან დებატების ფორმატის შეცვლის საკითხი კენჭისყრაზე დააყენა. მხოლოდ 28-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, რომ პრეზიდენტს საშუალება მისცემოდა, პერმანენტულ რეჟიმში დისკუსიაში ჩართულიყო, 50-მა კი წინააღმდეგ მისცა ხმა.

ამ კენჭისყრის შემდეგ სხდომათა დარბაზი უკვე საპარლამენტო უმცირესობამ დატოვა. უმცირესობის ლიდერი დავით ბაქრაძე ეჭვობს, რომ „ოცნება“ სხვა დროსაც ასე პრინციპულად დაიცავს რეგლამენტს.

– იმედია ხვალინდელი დღიდან ასეთივე პრინციპულები იქნებით რეგლამენტის შესრულებაში, მაშინ, როდესაც საკითხი შეეხება მინისტრების მობრძანებას პარლამენტში, – აღნიშნა საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა.

მეოცნებეთა მხრიდან რეგლამენტის დაცვაზე საუბარი სასაცილო მოეჩვენა „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთ ლიდერ გიგა ბოკერიას. მას არც პრეზიდენტის დემარში მოეწონა და მეოცნებეებთან ერთად ისიც დაგმო.

– ღირსებაზე იყო საუბარი უმრავლესობის მხრიდან, თქვენთვის რეგლამენტის დარღვევა ღირსების საკითხია? იმ რეგლამენტში წერია მინისტრების გამოცხადებაზე, მაგრამ რომ არ მოდიან, ბოდიში და ფეხებზე იკიდებთ ხოლმე, პრეტენზიასაც არ უყენებთ წელიწადია. ღირსება მაშინაც უნდა გაგახსენდეთ ხოლმე, როდესაც მინისტრები ოპოზიციას იგნორს უკეთებენ და თქვენ დაგცინიან.

მოგწონთ თუ არა მარგველაშვილის საქციელიო, იკითხეთ. მე პრეზიდენტი მარგველაშვილი ზოგადად არ მომწონს, არც მაშინ მომწონდა, თქვენ რომ შემოგვთავაზეთ. არც ერთ ეტაპზე არ მომწონდა, არც მინისტრი არ მომწონდა, არც პრეზიდენტი არ მომწონს და არც ეს საქციელი მომწონს, – მიმართა უმრავლესობას ბოკერიამ.

პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთმა ლიდერმა ირმა ინაშვილმა ირაკლი კობახიძე და მამუკა მდინარაძე პარლამენტის არსის ჩაკვლაში დაადანაშაულა.

– 2 მაისის სხდომის მთელი არქიტექტონიკა უკვე დაირღვა. ჯერ ერთი, გაგვექცა მთელი მთავრობა, პრემიერის თამადობით. შემდეგ პრეზიდენტმა მოითხოვა დისკუსიაში ჩართვა და ეს არის ბუნებრივი. დებატი ნიშნავს დისკუსიას, თუ დებატი არ იქნებოდა, მაშინ უნდა გვეთქვა, მონოტორულ რეჟიმში ვმართავთ ამ სხდომა. მე არ ვთვლი, რომ პარლამენტის პრესტიჟის შებღალვის საკითხია, რომ პრეზიდენტს მივცეთ საშუალება, პასუხი გასცეს დასმულ შეკითხვას, ეს არის ნორმალური. ეს არის პარლამენტის არსი, რასაც დღეს კლავს კობახიძე, კლავს მდინარაძე, კლავენ ეს პოლიტიკური ლაწირაკები. პირდაპირ ამ ტერმინს გამოვიყენებ. დღევანდელი დღე იქნება სამაგალითო დღე, როგორი პარლამენტი აღარ უნდა ჰყავდეს საქართველოს, – განაცხადა ირმა ინაშვილმა.

მოჯადოებული სასახლე და პრეზიდენტის ხუშტურები

გიორგი მარგველაშვილი გუშინ, 2 მაისს, პარლამენტში პრეზიდენტის რანგში ბოლოჯერ წარდგა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მას მმართველ გუნდთან სერიოზული დაპირისპირება აქვს, მისგან ყველა მწვავე გამოსვლას ელოდა. პრეზიდენტმა მოლოდინი ვერ გაამართლა. ოპოზიცია განსაკუთრებით იმით დარჩა იმედგაცრუებული, რომ მას არაფორმალური

რი მმართველი არ უხსენებია.

დეპუტატ რომან გოცირიძის აზრით, გიორგი მარგველაშვილს ასეთი რბილი გამოსვლა ჯერ არ ჰქონია.

– მინდა დავიწყო პირდაპირ, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე. პრეზიდენტის დღევანდელი გამოსვლა იყო გაცილებით რბილი და ნაკლებად კრიტიკული, ვიდრე მისი ყველა გამოსვლა, რაც კი ამ დარბაზში მოგვისმენია 5 წლის განმავლობაში. მე არ მინდა ავხსნა ამის მიზეზები, არ მინდა ვიფიქრო, რომ ეს იყო გამოწვეული იმ საარტილერიო დამუშავებით, რომელიც „ქართული ოცნების“ მხრიდან მიმდინარეობდა მის წინააღმდეგ.

იცით, რომ როდესაც ვინმე შეტევაზე გადადის ომის დროს, ჯერ ხდება ფსიქოლოგიური ზეწოლა – თვითმფრინავიდან გადმოყრიან პროკლამაციებს და დღეს ეს ტელევიზიით ხდება, შემდეგ რაღაც დინამიკებით უშვებენ შემაშინებელ ხმებს და ეს ხმებიც გაისმოდა. ხდება საარტილერიო შტურმი, შემდეგ კი გადადის შეტევაზე ქვეითი ჯარი, ფეხოსნები. თქვენ დღეს გიტევენ დარბაზში მყოფი ფეხოსნები. ნუთუ ამ ფეხოსნებმა შეგაშინათ? 4-საათიანი დებატები მოითხოვეს და 4 საათის განმავლობაში თქვენ მოისმენთ თქვენს საწინააღმდეგოდ სამ რამეს: ის, რომ მთიდან არ ჩამოხვედით ბარში და არ დატოვეთ ავლაბრის რეზიდენცია; გეტყვიან, თუ რატომ იყენებთ თქვენს საკონსტიტუციო უფლებას და რატომ ადებთ ვეტოს კანონპროექტებს; რატომ იყენებთ თქვენს საკონსტიტუციო უფლებებს და რატომ ეწევით შეწყალების პროცესს. არა მგონია, რომ ამან შეგაშინათ, – განაცხადა გოცირიძემ.

მანვე უსაყვედურა პრეზიდენტს ივანიშვილის უხსენებლობის გამო.

– თქვენს გამოსვლაში იყო რამდენიმე კარგი მხარე. თქვენ პირდაპირ თქვით, რომ ხელისუფლების მხრიდან მიზანმიმართულად მიმდინარეობს პოლიტიკური კლასის გაქრობა და თქვენ ეს თქვით არჩევნების კონტექსტში. ასევე, არჩევნებთან დაკავშირებით განაცხადეთ, რომ შეუძლებელია ქვეყანაში დემოკრატიული პროცესის განვითარება თუ არ იქნება სამართლიანი არჩევნები და არ შეიცვლება სისტემა და ის მექანიზმები, რაც არის დაკავშირებული არჩევნებთან.

თუმცა, თქვენ არ გითქვამთ ყველაზე მთავარი. თქვით, რომ შესუსტდა სახელმწიფო ინსტიტუტები, მაგრამ რომელ შესუსტებაზეა საუბარი, როდესაც დაინგრა სახელმწიფო ინსტიტუტები. ქვეყანაში არის უკანონო არაფორმალური მმართველობა, ქვეყანა იმართება კულისებიდან და ამის შემოქმედი ბიძინა ივანიშვილი არა თუ არ გიხსენებიათ, მინიშნებითაც არ გითქვამთ, რომ ქვეყანაში კონსტიტუცია ფაქტობრივად, გაუქმებულია. ამიტომ ყველაზე მთავარი და მთელი უბედურების წყარო არის არაფორმალური მმართველობა. თოჯინების თეატრში ბავშვებს ხანდახან დიდი იმედგაცრუება ემართებათ, როდესაც ჩრდილში ცუდად შენიღბულ ხელს დაინახავენ. თქვენ ვერ დაინახეთ ხელი? ამ სცენაზე ხელიც ჩანს, ყურიც, ცხვირიც, ფეხებიც, დოლარებიც, უფრო მეტიც, ამ სცენაზე ხეები დაიარებიან და ზღვაში ხეები დაცურავენ, – მიმართა დეპუტატმა პრეზიდენტს.

საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძე კი მიიჩნევს, რომ ავლაბრის რეზიდენციამ მარგველაშვილი მოაჯადოვა და მას სურს, რომ ყველამ მის ხუშტურებზე იაროს.

– პრობლემა, იცით, რა მგონია? სერიოზულად რომ ვლაპარაკობთ ახლა ამ ყველაფერზე. კაცს ჰქონდა საათი და მეტიც შეეძლო ელაპარაკა და გამოიყენა 23 წუთი და ილაპარაკა არაფერზე. ვერ გაიგო ვერავინ, რაზე ილაპარაკა. ზუსტად იცოდა, რა აქცენტები დაისმებოდა და არც ერთ კითხვაზე, რაც საზოგადოებას აწუხებს,

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„მარგველაშვილი საპრეზიდენტო არჩევნებზე ოპოზიციის საუკეთესო კანდიდატი იქნება“

შალვა შავგულიძე: „ქართული ოცნება“ პრეზიდენტზე განაწყენებულია, წასვლის წინ რატომ დითირამბები არ გვიმღერაო“

ნათია ხურცილავა

თავისუფალი დემოკრატების თავმჯდომარე შალვა შავგულიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პრეზიდენტ მარგველაშვილის პარლამენტში ბოლო ყოველწლიურ მოხსენებას აფასებს.

– ბატონო შალვა, პრეზიდენტის ყოველწლიური გამოსვლიდან თქვენ რა გზავნილები დაინახეთ? შეფასებები არაერთგვაროვანია.

– პრეზიდენტი ყველა ძირითად პრობლემას შეეხო, რომელიც „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში დაგროვდა. უმთავრეს პრობლემად მან ინსტიტუციური მმართველობის მოშლა გამოყო, რაც აბსოლუტურად შეუთავსებელია დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოსთვის. „ქართული ოცნება“ ახდენს დეკლარირებას, რომ დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოს აშენებს, მაგრამ რეალურად ქვეყანაში ინსტიტუციები მოსპო.

პრეზიდენტმა ისაუბრა სასამართლო რეფორმაზე, რომელმაც ვერ გაამართლა. ტალღებად მონათლული ცვლილებების შედეგად, მაინც მმართველი ძალისგან კონტროლირებადი სასამართლო მივიღეთ. პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში სწორი აქცენტები დასვა.

– „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენელი ბაქრაძე აცხადებს, რომ გულწრფელობა აკლდა პრეზიდენტს, ნაციონალური მოძრაობის წევრი გოცირიძე კი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტმა იდეალური სურათი დახატა პატარ-პატარა ბწკენებით. თქვენი შეფასება როგორია?

– მე ამ შეფასებებში ვერ დავეთანხმები ოპოზიციის წარმომადგენლებს. არ მიმაჩნია, რომ პრეზიდენტის გამოსვლა მხოლოდ ბწკენა-ბწკენები იყო და არ იყო სიღრმისეული ანალიზი და არ იყო კრიტიკული ხელისუფლების მიმართ. შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, რომ კონკრეტული მიმართულებით უფრო მეტი უნდა ეთქვა მარგველაშვილს, რომ უფრო მწვავე და კრიტიკული უნდა ყოფილიყო, მაგრამ თუ ობიექტურად ვიტყვი, პრეზიდენტი ყველა იმ პრობლემას შეეხო, რომელიც დაგროვდა ამ 6 წლის მანძილზე. მას სწორედ უმთავრეს პრობლემაზე უნდა მოეხდინა კონცენტრაცია და არ შეიძლებოდა, რომ თითოეულზე ესაუბრა დეტალურად, როგორც ეს მათ მოეწონებოდათ.

უმრავლესობის ლიდერმა საერთოდ სასწაული ბრალდებები წაუყენა პრეზიდენტ მარგველაშვილს, თითქოს არ შეეხო იმ თემებს, რომლებსაც რეალურად შეეხო. სალომე ზურაბიშვილმა უსაყვედურა, დიასპორის საკითხებს რატომ არ შეეხო უფრო დეტალურად. დიმიტრი ხუნდაძემ კი აღნიშნა, რატომ არ გაილაშქრა იმ მედიის და არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლებიც თითქოს ლიბერალური ნარკოპოლიტიკის პროპაგანდას ახდენენ ქვეყანაში, მაშინ როდესაც რეპრესიული ნარკოპოლიტიკა მართლაც პრობლემაა.

„ქართული ოცნება“ განაწყენებულია პრეზიდენტზე, რატომ ტაშს არ გვიკრავს და დითირამბები არ გვიმღერა წასვლისასო, ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენელი კი განაწყენებულია, რომ მათი კონკრეტული დღის წესრიგით არ იმოქმედა პრეზიდენტმა.

ცხადია, რომ ყველა ამ მოთხოვნას პრეზიდენტი ვერ დააკმაყოფილებდა. რაც მთავარია, პრეზიდენტმა მთავარი აქცენტი დასვა ქვეყნის ინსტიტუციური მმართველობის მოშლაზე.

– ბატონო შალვა, თქვენ როგორ ფიქრობთ, ის რჩება პოლიტიკაში თუ პოლიტიკურ ასპარეზზე ყოფნას ასრულებს?

– ვერ ვიმარჩიელებ, მაგრამ ამ კითხვაზე პასუხს ჩვენ მისგან მოვისმენთ და ეს პასუხი უშუალო და პირდაპირი იქნება. ალბათ, უახლოეს ხანებში პრეზიდენტი გადაწყვეტილებას მიიღებს, აპირებს თუ არა მეორე ვადით კენჭი იყაროს. მე ვთვლი, რომ მისი ეს გადაწყვეტილება იქნებოდა მეტად სასარგებლო ქვეყნისთვის.

– რატომ?

– გიორგი მარგველაშვილი იქნება ის კანდიდატურა, რომლის ირგვლივაც ოპოზიციის გაერთიანება უფრო მარტივად იქნება შესაძლებელი. თანაც, ის არ არის არც ერთ პოლიტიკურ ძალასთან აფილირებული. ამიტომ, განსხვავებული მიმართულების ოპოზიციურ ძალებს არ გაუჭირდებათ მისი კანდიდატურის ირგვლივ შეთანხმების მიღწევა.

ნაციონალური მოძრაობის კანდიდატის ირგვლივ სრულ ოპოზიციურ სპექტრს გაერთიანება გაუჭირდება. ასევე, სხვა ნებისმიერი პარტიის მიერ წარმოდგენილი კანდიდატის ირგვლივ ასეთი შეთანხმების მიღწევა რთული იქნება. ამიტომ არის მარგველაშვილი საუკეთესო ვარიანტი.

– მარგველაშვილი ნეიტრალური კანდიდატი იქნება?

– მარგველაშვილი ნამდვილად არის ნეიტრალური კანდიდატი. თან მან შეძლო, პრეზიდენტის ინსტიტუტისთვის დამოუკიდებლობა შეინარჩუნებინა. თუნდაც ეს ერთი შედეგი მისი საპრეზიდენტო საქმიანობის, უფლებას მაძლევს ვთქვა, რომ ის ერთ-ერთი საუკეთესო კანდიდატია.

– ოპოზიცია შესთავაზებს მარგველაშვილს, რომ ის გახდეს მათი კანდიდატი?

– პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ასეთი შეთავაზება ფაქტობრივად მიიღო. მართალია, ეს არ ყოფილა ოფიციალური, წერილობითი შეთავაზება, მაგრამ არაერთ საჯარო გამოსვლაში ბევრჯერ გვითქვამს, რომ ეს ყველაზე კარგი ვარიანტი იქნებოდა. თუ მარგველაშვილი უარს იტყვის მეორე ვადით კენჭისყრაზე, მაშინ, ცხადია, სხვა დღის წესრიგი დადგება.

რა კავშირი აქვს ზვიად კუპრავას დაკავებას ხორავას ქუჩის ტრაგედიასთან

შორენა მარსაგიშვილი

სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი ზვიად კუპრავა მორიგ შარში გაეხვია. გუშინ, 2 მაისს, ცნობილი გახდა, რომ ის სამართალდამცავებმა დააკავეს. გავრცელებული ინფორმაციით, ის საპატრულო პოლიციამ 1 მაისს გვიან საღამოს დააკავა. 2 მაისს კი სასამართლომ 10 დღით პატიმრობა შეუფარდა.

კუპრავას დაკავებას საზოგადოების დიდი ნაწილი მის საქმიანობას უკავშირებს. სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელმა ბოლო პერიოდში ძალიან ბევრი სკანდალური ინფორმაცია გააჟღერა.

განსაკუთრებით რეზონანსული იყო მისი განცხადებები ხორავას ქუჩის ტრაგედიასთან დაკავშირებით. სისხლიანი გარჩევის დროს მოკლული დათუნა სარალიძის მამა, ზაზა სარალიძე ზვიად კუპრავას მეგობარია.

ამ საქმეზე კუპრავამ ბევრი სკანდალური დეტალი გაასაჯაროვა. რაც იმით დასრულდა, რომ ის პროკურატურამ დაიბარა და გაუთქმელობაზე მოაწერინა ხელი. მისი გაჩერება მაინც ვერ შეძლეს და სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელმა კიდევ ერთი სკანდალური ინფორმაცია გაავრცელა.

მისი ინფორმაციით, მირზა სუბელიანი, რომლის შვილი და ცოლის დისშვილიც სისხლიან გარჩევაში მონაწილეობდნენ, პროკურატურას აშანტაჟებდა. საუბარია ციხიდან ვანო მერაბიშვილის გაყვანის კადრებზე.

იმ დროს, როცა მერაბიშვილი ციხიდან უკანონოდ გაიყვანეს, მირზა სუბელიანს სასჯელაღსრულების სამინისტროში მაღალი თანამდებობა ეკავა.

ამ კადრებზე კუპრავას სუბელიანის სიმამრი, ყოფილი დეპუტატი ბორის კაკუბავაც ესაუბრა. როგორც კუპრავამ „ახალ თაობას“ განუცხადა, საუბარი ყოფილი დეპუტატის ინიციატივით შედგა.

მათ რამდენჯერმე ისაუბრეს, ერთ-ერთი საუბრის დროს კაკუბავამ კუპრავას სიძის დანაბარებიც გადასცა – მშვიდობა შევინარჩუნოთო.

მას შემდეგ რაც მერაბიშვილის კადრებით შანტაჟის თემა მედიამ გააშუქა, კაკუბავა კიდევ ერთხელ დაუკავშირდა კუპრავას და დასჯით დაემუქრა.

ხორავას ქუჩაზე სისხლიანი გარჩევის დროს მოკლული დათუნა სარალიძის მამა, ზაზა სარალიძე დარწმუნებულია, რომ მისი მეგობარი ამ სკანდალური ინფორმაციის გამო დააკავეს.

– ზვიად კუპრავა დააკავეს. მივმართავ საზოგადოებას, ვისაც ეჭვი ეპარებოდა ჩვენ მიერ გავრცელებულ ინფორმაციებში და დარწმუნებულები იყვნენ, თითქოს და პოლიტიკური მიზნებისთვის ვაკეთებდით მსგავს განცხადებებს (სუბელიანი კადრებით აშანტაჟებს პროკურატურას).

ახლა მაინც თუ ხვდებით, რატომ დააკავეს კუპრავა და ვინ აძალებს პოლიტიკურ სახეს ხორავას ტრაგედიას, – წერს ზაზა სარალიძე ფეისბუქის საკუთარ გვერდზე.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რამდენიმე თვის წინ ზვიად კუპრავას სადარბაზოში დაესხნენ თავს. ის მეუღლესთან და 2 წლის ნიკოლოზთან სახლში მიდიოდა. თავდასხმა მეზობელმა განახორციელა, რომელიც ფსიქიატრიულიდან ახალი გამოსული იყო და მას კუპრავასთან არანაირი შეხება არ ჰქონია.

სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი მაშინ ამბობდა, რომ ეს თავდასხმა მის აქტიურობას უკავშირდებოდა. კუპრავა იმ პერიოდში უკვე აქტიურად იყო ჩართული ხორავას საქმის დეტალების გარკვევაში.

მარგველაშვილი პარლამენტიდან გაიქცა

დასაწყისი მე-2 გვერდზე

პასუხი არ გასცა. ოპოზიცია გვთავაზობს დამატებით, რომ რადგან მცირედი გამონაკლისი დავუშვით და ბოლოში ჰქონდა პასუხის საშუალება მისივე სასარგებლოდ, ახლა საერთოდ გადავდოთ რეგლამენტი გვერდით და მის ხუშტურებზე ვიაროთ.

ეს ყველაფერი იმიტომ, რომ იმ მოჯადოებულ სასახლეში ვინც შევიდა, ყველას მოუნდა, რომ მის ხუშტურებზე იაროს ყველამ – პარლამენტმაც, საზოგადოებამაც... ვერ გამოვიდნენ ამ მოჯადოებული წრიდან. კეთილი ინებოს, ჩამოვიდეს თავისი კაბინეტიდან, რომელიც გააჩნია ამ პარლამენტში, დაჯდეს, დაიცვას კანონი, პატივი სცეს საზოგადოებას, მაგრამ ეს არ გამოუვიდა ამ წლების განმავლობაში და დღეს შეიძლება ვერ მოახერხოს და ჩვენ მის ხუშტურებზე ნუ ვივლით, – განაცხადა მდინარაძემ.

მარგველაშვილის ანგარიშით კმაყოფილი არც „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი ელენე ხოშტარია დარჩა. მისი შეფასებით, მარგველაშვილმა ყველა მიმართულებით სამართლიანად ისაუბრა და აღნიშნა, რომ ხელისუფლებას სერიოზული ჩავარდნა აქვს.

დეპუტატი სინანულს გამოთქვამს, რომ პრეზიდენტს ქვეყანაში არსებულ კრიმინოგენურ ვითარებაზე, კორუფციასა და ტოტალურ გაჭირვებაზე არ უსაუბრია.

– ეს იყო „ქართული ოცნების“ შეფასება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. პირდაპირ ვაღიაროთ, რომ ყველა იმ საკითხზე, რაზეც „ქართულ ოცნებაში“ იყო ძალიან დიდი მოლოდინი, რის გამოც მათ მიიღეს მანდატი, ეს არის დემოკრატიული განვითარება, სასამართლო სისტემა, მედია ვითარება, ეს არის პოლიტიკური პროცესი, ყველა მიმართულებით გიორგი მარგველაშვილმა ძალიან მკაფიოდ, სამართლიანად ისაუბრა და

თქვა, რომ სერიოზული ჩავარდნა აქვს ხელისუფლებას. როგორ მიზანმიმართულად ებრძოდა „ქართული ოცნება“ პოლიტიკურ პარტიებს, როგორ დაზიანდა დემოკრატია, როგორი პრობლემებია მედია გარემოში ანუ ამ შემთხვევაში, რისთვისაც მანდატი მიიღო „ქართულმა ოცნებამ“.

გვესმის დაპირისპირება ქუჩებში ახალგაზრდებს შორის, მკვლელობები, ძალადობა ოჯახებში, ასევე სოფლებში, სადაც დავდივართ, გვეუბნებიან, რომ საქონელს პარავენ ხალხს. არც კორუფციაზე არ უსაუბრია პრეზიდენტს და რაც მთავარია, არ უსაუბრია ტოტალურ გაჭირვებაზე და იმ უიმედობაზე, რაც დღეს ქვეყანაშია. დღეს ჩვენ გვიყურებენ ადამიანები, რომლებსაც პასუხი უნდათ მხოლოდ ამაზე, ჩვენ, რა თქმა უნდა, „ქართულ ოცნებასთან“ დავაყენებთ ყველა ამ საკითხს – აღნიშნა ხოშტარიამ.

❖ ❖ ❖

დღის ბოლოს განმარტებები გააკეთა საქართველოს პრეზიდენტმაც. მან კიდევ ერთხელ განმარტა, რატომ სურდა რეგლამენტის ფორმატის ცვლილება. მარგველაშვილი ამბობს, რომ მას სურდა ეპასუხა იმ შენიშვნებისთვის, რომელიც დეპუტატების მხრიდან გამოითქმებოდა.

– მინდა გავახსენო პატივცემულ საზოგადოებას ის, რომ ეს იქნებოდა დებატების ფორმატი, ამის თაობაზე 10 დღის განმავლობაში იყო დაანონსებული. ჩემი სურვილი, რომ პატივცემულ დეპუტატებს ვუპასუხო, განპირობებულია ჩემი პატივისცემით მათდამი და მინდა ბოლომდე პასუხი გავცე მათ კითხვებს.

შეგიძლიათ მედიამ ამოიღოთ არაერთი შემთხვევა პარლამენტში პრეზიდენტის დებატებს. ის რომ მე უნდა ვიჯდე დარბაზში, ეს არც ერთი რეგლამენტით არ არის გათვალისწინებული. პასუხების მოსმენა კითხვებზე ალბათ მძიმე და ძნელი აღმოჩნდა, – განაცხადა მარგველაშვილმა.

„ევროპისკენ მიმავალი საქართველო სოციალისტურ წარსულში დაბრუნდა“

შორენა მარსაგიშვილი



„დაიცავი საქართველოს“ ლიდერი კახა მიქაია ხელისუფლებას მისი თანამებრძოლების დევნაში ადანაშაულებს. მიქაიას თქმით, მისი თანამებრძოლები

ფეისბუქზე პოლიტიკური აქტივობის გამო სამსახურებიდან გაათავისუფლეს.

კახა მიქაიას განცხადებით, ქვეყანაში დემოკრატიის მაგივრად დიქტატურა დამყარდა, ევროპული მიმართულების ნაცვლად კი, საქართველომ სოციალისტური წარსულისკენ აიღო გეზი.

რა სკანდალურ ჩანაწერს ფლობენ „დაიცავი საქართველოს“ წევრები, რა ხდება სამეგრელოში, რატომ გადაიქცა საქართველო სოციალისტურ რესპუბლიკად? ამის შესახებ კახა მიქაია „ახალ თაობას“ ესაუბრება.

კახა მიქაია:

– ჩემი თანამებრძოლები დათო სორდია, ალიკა გეთია, საშკა მოლაშხია დაკავებული თანამდებობიდან „საქართველოს ფოსტის“ გენერალურმა დირექტორმა, ჩიკვაიძემ პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლა. ისინი ფეისბუქზე პოლიტიკური აქტივობის გამო დაისაჯნენ.

ჩვენ ხელთ გვაქვს აუდიო-ჩანაწერი, სადაც პირდაპირ ჩანს პოლიტიკური დისკრიმინაციის ნიშნები. ჩანაწერში ჩიკვაიძე აღიარებს, რომ მას დაავალეს სორდიას, გეთიასა და მოლაშხიას გათავისუფლება. ჩანაწერიდან ასევე ჩანს, რომ გადაწყვეტილება შეთანხმებულია არა „საქართველოს ფოსტის“, არამედ ქვეყნის ხელმძღვანელობასთან.

– ხელისუფლებიდან ვის შეიძლებოდა გაეცა ასეთი განკარგულება?

– ეჭვი მაქვს, რომ ამაში მონაწილეობენ მთავრობის მაღალჩინოსნები და სწორედ მათი გადაწყვეტილებაა ჩემი თანამებრძოლების გათავისუფლება დაკავებული თანამდებობებიდან. ეს არის პოლიტიკური დისკრიმინაცია.

„ქართულმა ოცნებამ“ მიხეულ საკაშვილის გზა გააგრძელა. ესაა პირდაპირ სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა, ამიტომ მივმართავ საქართველოს ხელისუფლებას, დიპლომატიურ კორპუსს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, სახალხო დამცველს, დაინტერესდნენ ამ საკითხით.

აუდიოჩანაწერი 2 მაისს საგანგებო პრესკონფერენციაზე გავასაჯაროე. აღნიშნულ ჩანაწერს გადავცემ საქართველოში არსებულ ყველა პოლიტიკურ ძალას და გავუგზავნი საქართველოს ხელისუფლებას, რათა მიიღოს შესაბამისი ზომები.

ჩემი თანამებრძოლების გათავისუფლება დაკავშირებულია ჩემს პოლიტიკურ შეხედულებებსა და პოზიციასთან, რომელიც მაქვს ხელისუფლებასთან მიმართებაში. ეს არის პოლიტიკური დაკვეთის შესრულება ჩიკვაიძის მხრიდან. ეს ის ხალხია, რომელიც ჩემთან ერთად ებრძოდა ნაციონალურ მოძრაობას, პოლიტიკურ დისკრიმინაციას, უსამართლობას და იბრძოდა სიტყვის თავისუფლებისათვის. ეს ის ხალხია, რომელიც იბრძოდა რეჟიმის წინააღმდეგ ნაციონალური მოძრაობის დროს და მაშინ ხმას არ იღებდა არავინ, მათ შორის, არც ისინი, ვინც დღეს მოგვევლინნენ „ქართულ ოცნებაში“. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც არ შეუშინდნენ მიხეილ საკაშვილის რეჟიმს.

ნაციონალურ მოძრაობასა და „ქართულ ოცნებას“ შორის განსხვავება არ არის. ჩვენ ყველანი ისევ ვრჩებით ჩვენი იდეალებისა და პოლიტიკური მრწამსის ერთგულნი. ჩვენ არ მოვითმენთ ადამიანების უფლებების დარღვევას, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას, პოლიტიკურ დისკრიმინაციას და ჩვენ ვიტყვით სიმართლეს.

– თქვენს თანამებრძოლებს მაღალი თანამდებობები ეკავათ „საქართველოს ფოსტაში“?

– საშკა მოლაშხია „საქართველოს ფოსტაში“ მონიტორინგის ჯგუფის ოფიცრად მუშაობდა; დავით სორდია – სამეგრელოსა და ზემოსვანეთის ქონების მართვის რეგიონალური ფილიალის კოორდინატორად; ალიკა გეთია კი – „საქართველოს ფოსტის“ – სერვისცენტრის მენეჯერად.

– ჩვენი საზოგადოება ბოლო დროს აღარაფერზე რეაგირებს. თქვენი აზრით, პოლიტიკური ნიშნით სამსახურებიდან ადამიანების გათავისუფლებაზე მაინც თუ ექნებათ რეაქცია?

– ჩვენი საზოგადოება იქცევა ისე, როგორც მოიქცეოდა სოციალისტური საქართველოს მოსახლეობა. ჩვენ ხომ ახლა სოციალისტურ საქართველოში ვცხოვრობთ.

კახა მიქაია: „ოცნების“ პოლიტსაბჭოში ბოკერიასა და სააკაშვილის ყოფნას ნუკრი ქანთარიასავით აღფრთოვანებით შევხვდებით“

საქართველოს ყველა ხელისუფლება და მათ შორის „ქართული ოცნებაც“ გაიძახოდნენ, რომ საქართველოს მომავალი ევროპაშია. ევროპული გზა მხოლოდ ქაღალდებში უწერიათ, სინამდვილეში საბჭოთა წარსულისკენ მიგვაქანებენ. მიუხედავად იმისა, რომ ვიზალიბერალიზაცია მივიღეთ, ევროპის ნაცვლად სოციალისტურ საქართველოში აღმოვჩნდით.

წიკვაკვავა თალაკვაძე, ნევედიმკა კობახიძე და ნუპაგადი მდინარაძე ნამდვილი კომკავშირლები არიან. მათ რომ ვუყურებ, ხანდახან იმაშიც მეპარება ეჭვი, რომ საბჭოთა კავშირი დაიშალა.

– სოციალისტური საქართველო ახსენეთ და ეს დრო სხვებსაც მოაგონდათ. ბიძინა ივანიშვილი პარტიის თავმჯდომარედ დაბრუნდა. ექსპერტების აზრით, ისევე, როგორც საბჭოთა კავშირის დროს, კომპარტიის თავმჯდომარე იყო ქვეყანაში მთავარი, ახლა „ოცნების“ თავმჯდომარე იქნება საქართველოში პირველი კაცი.

– ივანიშვილი ისედაც მთავარი იყო ამ ქვეყანაში და ახლა ეს ოფიციალურად გაფორმდა. ოფიციალურად დადასტურდა რომ ევროპული ქვეყნის ნაცვლად, საბჭოთა საქართველო ავაშენეთ.

– ყოფილი პრემიერის პოლიტიკაში დაბრუნებას ბევრი დიდი იმედით შეხვდა. იყო მოლოდინი, რომ ძირეულად შეიცვლებოდა „ოცნების“ პოლიტსაბჭო. მსგავსი არაფერი მომხდარა. თქვენ ამაზე რას ფიქრობთ?

– რას ვფიქრობ და ამის შესახებ იმ მიმართვაში მოგახსენებთ, რომლითაც მინდა ბიძინა ივანიშვილს თქვენი გაზეთით მივმართო.

როგორ გამიცრუვდა იმედები, ბატონო ბიძინა! თალაკვაძესთან, კობახიძესთან, მდინარაძესთან, ჩუგოშვილთან, სამხარაძესთან და მათ „უმფროს“, კალაძესთან ერთად, ახალ პოლტსაბჭოში რომ ვერ ვიხილე ვერც ზარდიაშვილი, ვერც მათიკაშვილი, ვერც მურუსიძე (საგანელიძესთან ტანდემში როგორ დაამშვენებდა ახალ პოლიტსაბჭოს), ვერც ოქრიაშვილი, ვერც, ვერც, ვერც.... მაგრამ არა უშავს, მთავარია, თქვენ ხართ ჩვენთან, სხვები ჯანდაბას, ოღონდ თქვენ არ დაგვტოვოთ, თქვენ არ მიგვაგდოთ უპატრონო ძაღლივით, თქვენ არ გაგვიცრუოთ საბოლოოდ იმედები და მომავალში, თავად ბოკერიასა და სააკაშვილის ყოფნასაც, პოლიტსაბჭოში, ნუკრი ქანთარიასავით „სიხარულით“ და „აღფრთოვანებით“ ავიტანთ და შევხვდებით!

მართალია, ამასწინათ თქვენმა წინასწარმეტყველმან, ტკბილმა და მურაბა მამამან ჩვენმან, გია ხუხაშვილმან იქადაგა, „კობახიძეს მალე ფეხებით გამოიტანენ კაბინეტიდან“-ო, მაგრამ თქვენ ხომ ყველა თქვენ წინასწარმეტყველზე შორს იჭვრიტებით და ყველაზე ახლოს ხედავთ შორეულ მომავალს... მომავალი კი, როგორც ერთმა ქართველმა თქვა – ჩვენია, უფრო სწორად, ჯერ თქვენი და მერე ჩვენი.

– აუცილებლად უნდა გკითხოთ სამეგრელოს რეგიონში აფხაზეთიდან გადმოსულ კონტრაბანდაზე, რომელმაც მას შტაბური სახე მიიღო.

– სადაა სამეგრელოში კონტრაბანდა? ეს ყველაფერი მოგონილია. კვირიკაშვილის ძმადნაფიცის, სამეგრელოს გუბერნატორის, შონიას საუკუნის ფრაზამ – „რომელი კონტრაბანდა, რატომ ეძახით კონტრაბანდას? რა, აფხაზეთი საქართველო არ არის?“ კონტრაბანდა დაასამარა.

იმ წუთიდან მოყოლებული, რაც გუბერნატორის განცხადება მედიაში გავიდა, აფხაზეთიდან გადმოსული ტვირთი, თუნდაც კონტრაბანდული, კონტრაბანდა არ არის, რადგან, როგორც აღმოჩნდა, აფხაზეთი საქართველოა! კონტრაბანდა დამარცხებულია, კონტრაბანდა შონიამ დაამარცხა და, აქედან გამომდინარე, კონტრაბანდით ნაშოვნი ფულიც კანონიერია და, შესაბამისად, არანაირ კორუფციასთანაც არ გვაქვს საქმე! ასე რომ, ყველაფერი კარგადაა. მეტიც, უკეთესს ვერც ინატრებს კაცი...

ახლა კი, მეგობრებო! შონიას ასპარეზი სჭირდება, შონია სამეგრელოს გუბერნატორად მართლაც საცოდაობაა, მან ახალი მწვერვალები უნდა დაიპყროს, მარტივი მიზეზის გამო – სამეგრელოში კონტრაბანდისა და კორუფციის დამმარცხებელმა ახლა უკვე სრულიად საქართველოს მასშტაბით უნდა სცადოს ბედი, ამიტომ, გამოვდივარ ინიციატივით და პოლიტიკაში მეორედ მოსულ ბიძინა ივანიშვილს ვთავაზობ, შონია დაასახელოს „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატად.

– ხუმრობთ ხომ, ბატონო კახა? იმიტომ დაგისვით ეს კითხვა, რომ ზოგს შეიძლება ეგონოს, რომ სერიოზულად ამბობთ.

– არაფერს არ ვხუმრობ. მმართველი გუნდის პრეზიდენტობის კანდიდატი უნდა იყოს შონია. კაცმა კონტრაბანდა დაამარცხა. მისი კანდიდატურის დასახელებით, ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ კატასტროფულად დაცემული რეიტინგიც სწრაფად აიწევს, არჩევნებს „ოცნება“ ადვილად მოიგებს და, რაც მთავარია, შონიას „აღმოჩენის“ საფუძველზე, რომ აფხაზეთიდან სამეგრელოში გადმოსული ტვირთი კონტრაბანდული არ არის, შესაძლებელი გახდება კორუფციის საბოლოოდ დამარცხება, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და იბერიის გაბრწყინება.

ოკუპირებულ აფხაზეთში საკადრო გადაადგილებები არ დასრულებულა

სოხუმმა სირიიდან ნავთობპროდუქტების შემოტანა გადაწყვიტა

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებული რეგიონის ახალი პრემიერის წარდგენისას დეფაქტო პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ განაცხადა, რომ მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა არ შეიცვლებოდა. ამის მიუხედავად, ახალმა პრემიერმა გენადი გაგულიამ ორი ახალი ვიცე-პრემიერი უკვე დანიშნა. მოსალოდნელია ასევე სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, ჯანდაცვის, შრომისა და სოცუზრუნველყოფის მინისტრების შეცვლა.

ახალი ვიცე-პრემიერები გახდნენ ჯანსუღ ნანბა, რომელიც ფინანსთა უწყებასაც შეითავსებს და ასტამურ ქეცბა. პირველი ვიცე-პრემიერი ისევ დაურ არშბაა, კიდევ ერთი ვიცე-პრემიერია რომან შოუა, რომელიც გაგულიას პრემიერად დანიშვნამდე ცოტა ხნით ადრე მოვიდა მთავრობაში.

საოკუპაციო რეჟიმი ცდილობს გამოასწოროს კრიზისული მდგომარეობა.

სოფლის მეურნეობის მინისტრი ფაროსანას შემოსევას გადაჰყვება. მართალია, აფხაზეთში აცხადებენ, რომ ამ მავნებლის წინააღმდეგ მიღებული ზომების შედეგად თავიდან იქნა აცილებული ზარალი 6 მილიარდი რუბლის ოდენობით, აგრარულ სექტორს მაინც დიდი ზიანი მიადგა. რუსეთმა აფხაზეთიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შეტანა დროებით აკრძალა.

ფაროსანასთან ბრძოლის ღონისძიებები რუსეთიდან ჩასულმა ჩინოსნებმა დასახეს. მათი მითითებით აფხაზეთში მავნებლის წინააღმდეგ გამოიყენეს ქიმიური საშუალებები და ხალხს ფულის სანაცვლოდ ფაროსანა შეაგროვებინეს. საბოლოოდ, რეგიონში 4 ტონაზე მეტი ფაროსანა მოგროვდა.

შარშანდელი ჩავარდნილი ტურისტული სეზონის შემდეგ მოსალოდნელი იყო ტურიზმის უწყების ხელმძღვანელის შეცვლა. შარშან საქმე იქამდე მივიდა, რომ როსტურიზმმა თავისი მოქალაქეები აფხაზეთში არსებული რისკების თაობაზე გააფრთხილა. შინაგან საქმეთა მინისტრი რამდენიმე თვის წინ უკვე შეიცვალა.

მძიმე სოციალური ფონი მოითხოვს გარდაქმნებს ჯანდაცვის, ასევე შრომისა და სოცუზრუნველყოფის სამინისტროებში. აქ კადრები შეიცვლება.

საკადრო გადაადგილებებს დაემთხვა მიგრაციული კანონმდებლობის გამარტივება. თუ ადრე აფხაზეთში მუშაობის დასაწყებად აუცილებელი იყო სამართლებრივი ან შრომითი ხელშეკრულების წარდგენა, დღეს ეს მოთხოვნა გაუქმდა. ამას იმით ხსნიან, რომ ამგვარ დოკუმენტებში ადგილობრივი კომპანიები ქრთამს იღებდნენ.

მთავრობის სრული შემადგენლობის დამტკიცება დაახლოებით ორ კვირაში მოხდება. ახალი პრემიერი აცხადებს, რომ მინისტრებს მეტი უფლებები და მოვალეობები ენიჭებათ:

– მთავრობის სტრუქტურა ოდნავ იცვლება. მთავრობის წევრები აღიჭურვებიან უფლებამოსილებებით. მათთან იქნებიან მიმაგრებული ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები. მინისტრები მათ მუშაობაზე პასუხს აგებენ.

ეკონომიკის მინისტრის პოსტს ინარჩუნებს ადგურ არძინბა. ცოტა ხნის წინ იგი სირიასთან ვაჭრობაზე საუბრობდა.

ოკუპირებულმა აფხაზეთმა რუსეთის შუამავლობით დაამყარა ურთიერთობა ომებში გახვეულ სირიასთან. რამდენიმე დღის წინ ადგურ არძინბამ აღნიშნა, რომ აფხაზეთი სირიის პროდუქციისათვის თავის ბაზარს გახსნის. მისი თქმით, სირიის ინფრასტრუქტურის აღდგენის შემდეგ აფხაზეთი მზადაა, მიიღოს ნავთობპროდუქტები ამ ქვეყნიდან.

ეკონომიკის მინისტრის მოადგილე BGEO-ს აქციონერია

ჩერქეზიშვილმა უმსხვილეს საბანკო–საინვესტიციო ჰოლდინგის აქციები ჯერ კიდევ 2013 წელს შეიძინა და პაკეტში 9432 ფუნტი გადაიხადა. დაბანდება მომგებიანი გამოდგა. 2018 წლის 30 აპრილის ვაჭრობის შედეგებით, ჩერქეზიშვილის კუთვნილი აქციების ფასი თითქმის გაორმაგებულია და პაკეტის ღირებულებაც 18 287 ფუნტს აღწევს.

BGEO-ში მიმდინარე გაყოფის ფონზე, ახლა მინისტრის მოადგილეს მოუწევს გადაწყვიტოს საბანკო თუ საინვესტიციო მიმართულებით შეინარჩუნებს წილს.

ჩერქეზიშვილის საინვესტიციო პორტფელში კიდევ 2 კომპანიის აქციებია. ის ფლობს „კავკასუს ენერჯი ენდ ინფრასტრაქჩას“ 1116 აქციას (ეს კომპანია ბოლო წლებია აქციონერებისგან წილის გამოსყიდვას ახდენს) და ასევე არის BGEO-ს შვილობილი „თელიანი ველის“ 981 აქციის მფლობელიც.

გიორგი ჩერქეზიშვილი ეკონომიკის მინისტრის მოადგილის პოსტზეა 2017 წლის მარტიდან. ამავე პერიოდიდან ის არის „ტრასეკას“ ეროვნული მდივანი.

ადა მარშანია: „უცნაურია, რომ გიგა ბოკერია პარლამენტში ზის“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის წევრმა ადა მარშანიამ განაცხადა, რომ პრეზიდენტის ბევრ ფორმულირებას, პოზიციას, თვალსაზრისს აბსოლუტურად ეთანხმება, მაგრამ უფრო საფუძვლიან გამოსვლას ელოდებოდა, განსაკუთრებით ორ საკითხში. პირველი – ქვეყნის გამთლიანების საკითხი, მეორე – უმუშევრობის პრობლემაზე, რაშიც კატასტროფული მდგომარეობაა.

– აბსოლუტურად სწორი შეფასებები მიეცით ქვეყნის მდგომარეობას, მაგრამ უფრო კონკრეტულ და საგნობრივ საუბარს ველოდებოდით, თუ როგორ ხედავთ იმ სიტუაციიდან გამოსავალს და როგორ უნდა გადავწყვიტოთ ის უმძიმესი პრობლემა. ქვეყნის გამთლიანების საკითხზე, ხედვა მაინც რომ დავაფიქსიროთ. არ ვამბობ იმას, რომ კონკრეტული პროგრამა უნდა იყოს გაწერილი, თუ როგორ უნდა გამოვიდეს ქვეყანა არსებული კატასტროფული უმუშევრობიდან.

საკითხი არის რთული, მრავალწახნაგოვანი, მოიცავს აბსოლუტურად ყველაფერს. ჩვენთვის გაუგებარ პოლიტიკას აწარმოებს მთავრობა, რომელიც აიკრიფა და წავიდა თბილისში. ეს არ არის ნორმალური, როდესაც წელიწადში ერთხელ პრეზიდენტი მობრძანდება, დებატები, საგნობრივი სერიოზული საუბარი უნდა გაიმართოს პარლამენტს, პრეზიდენტსა და მთავრობას შორის. ამ დროს მთავრობა დარბაზიდან გაქცეულია. ეს სულაც არ არის მოსაწონი.

პარლამენტის წევრებს შეახსენა, რომ სამთავრობო საათი აღადგინონ.

– აღვადგინოთ სამთავრობო საათი. სირცხვილია, რისთვის არის პარლამენტი, რისთვის არის მთავრობა თუ ერთმანეთს არ ელაპარაკება.

ადა მარშანია პრეზიდენტს საყვედურობს, რომ ის არ დაინტერესდა „პატრიოტთა ალიანსის“ ინიციატივით, რომ შეიქმნილიყო ნატო-საქართველო-რუსეთის ფორმატი.

– თქვენ კიდევ ერთხელ გაიმეორეთ თქვენი პოზიცია, რომ ვერ ხედავთ ქვეყნის გამთლიანების სხვა გზას, გარდა იმისა, რომ ნატოსთან ურთიერთობა, ცივილიზებულ ქვეყნებთან მეგობრობა, ურთიერთობა, პარტნიორობა, პოლიტიკის გატარება, ევროპისკენ სვლა (ჩვენ ამას მივესალმებოდით ყოველთვის) საჭირო.

ისიც გვესმის, რომ ნატოსკენ სვლა საქართველოსთვის მნიშვნელოვანია. ამას თავისი პლუსები აქვს. ჩვენ დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ და ამის უფლება გვაქვს ყველანაირი თვალსაზრისით – პოლიტიკური, სამხედრო, მაგრამ რატომღაც ჯიუტად ვერ ვხედავთ ჩვენს მწარე რეალობას და რატომღაც სერიოზულად არ ვიხილავთ, შინაურულად მაინც, ჩვენი პოლიტიკური გუნდის მიერ წარმოდგენილ, ძალიან სერიოზულ და საინტერესო წინადადებას ნატო-საქართველო-რუსეთის ფორმატის შექმნაზე. რატომღაც ნატო უყურებს ამას სერიოზულად და აინტერესებს, რატომღაც რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ეს ფორმატი ძალზე საინტერესოა. ჩვენ, ალბათ, უნდა შევძლოთ, შევეცადოთ მაინც, ვისაუბროთ და შევავფასოთ ექსპერტულ დონეზე ამ ფორმატის სარგებლობაზე ქვეყნისთვის. ჩვენ ძლიერი, მეტად მძიმე, მეტად აგრესიული ხასიათის მქონე მეზობლის, რუსეთის ფედერაციისკენ უნდა გავიხედოთ უფრო პრაგმატულად, უფრო სერიოზულად, უფრო პრაქტიკულად.

ადა მარშანიას განცხადებით, ჟენევის ფორმატის შეხვედრებში ვერ მივიღებთ შედეგს, სანამ შედეგს არ მივიღებთ მოსკოვში

– კარასინი-აბაშიძის ფორმატი არ არის საკმარისი. ჟენევიდან, სადაც მე სამჯერ ვიყავი, განახევრებულები ჩამოვდიოდოთ. იქ ძალიან მძიმე საუბარი მიმდინარეობს უშედეგოდ. ჟენევაში შედეგს ვერ მივიღებთ მანამ, სანამ არ მივიღებთ შედეგს მოსკოვში, გვინდა ეს თუ არა, მოგვწონს ეს თუ არა.

მოსკოვში შედეგის მიღწევაზე როცა საუბრობდა, ამ დროს ადა მარშანიას დარბაზიდან გიგა ბოკერიამ დაუძახა: „ლენინგრადშიცო“, რაზეც დეპუტატმა უპასუხა:

– ლენინგრადში ვსწავლობდი მე, ბატონო გიგა ბოკერია. თქვენ სად სწავლობდით, ვაშინგტონში? ამიტომ თქვენ უფრო პატრიოტი ხართ საქართველოსი?

მე არ მინდა ამაზე საუბარი, მაგრამ ჩემი ფრაქციის წევრები (ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსი“) მთხოვენ, ადა, შეახსენე პარლამენტს, რომ შენ ერთადერთი ეთნიკურად აფხაზი დეპუტატი ხარ საქართველოს პარლამენტშიო. აი, შეგახსენეთ, რომ შეგახსენეთ, მერე რა?! ჩემი პოზიცია გაინტერესებთ თქვენ აფხაზეთში დაბრუნების საკითხზე?

მინდა შეგახსენოთ, რომ საქართველოს პარლამენტში რომ ვარ, ეს იმას ნიშნავს, მე ვარ აფხაზი და მიმაჩნია, რომ ქართულ ერთიან სახელმწიფოში აფხაზები ისე უნდა ცხოვრობდნენ, როგორც ცხოვრობდნენ, თუ უნდათ შეინარჩუნონ კულტურა, ადათ-წესები, რომელიც ძალიან მჭიდრო კავშირშია, ბევრ საკითხში თითქმის იდენტურია ქართულ კულტურასა და ადათ-წესებთან.

თქვენ მე არ მისმენთ, არასეპარატისტ აფხაზს და სეპარატისტ აფხაზებთან როგორ აპირებთ საერთო ენის გამონახვას? მე ვერ ვხედავ, რომ სახელმწიფო ხელისუფლება ყველანაირი გზებით ცდილობდეს, ჰაერივით აუცილებელ, პირდაპირ დიალოგს აფხაზებთან და ოსებთან. მე შემეკითხეთ, ეგება ეს გზები მე გაჩვენოთ.

რატომღაც ჟენევის ფორმატი მოგვყავს მაგალითად. ჟენევის პროცესი არის სამშვიდობო პროცესის ნაწილი. სამშვიდობო პროცესი არის ძალიან დიდი. გვავიწყდება, რომ ქართული და აფხაზური საზოგადოებები გვყავს, რომლებიც ერთმანეთს მრავალი საუკუნეა იცნობენ. სახალხო დიპლომატიას აქვს თავისი დიდი ძალა, რომელზეც არ არის საუბარი და არც ამ საკითხის განხილვა მიმდინარეობს.

ამის შემდეგ ადა მარშანიამ პრეზიდენტს მიმართა, რომ ჩრდილოეთისკენაც უნდა გავიხედოთ.

– ბატონო პრეზიდენტო, უნდა გავიხედოთ ჩრდილოეთისკენაც, კარგად დავინახოთ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი. მგონი, ჩვენ ყველა მას ბავშვობიდან ვიცნობთ. ზოგი იქ სწავლობდა, ზოგი ახლაც იქ სწავლობს, ცხოვრობს და მუშაობს. ესეც უნდა შეგახსენოთ – ძალიან ბევრი თანამემამულე დღესაც იქ მოღვაწეობს. ბოლოს და ბოლოს, ვიფიქროთ იმაზე, რომ ჩვენ ერთმანეთს ვერსად გავექცევით. გავატაროთ პრაქტიკული და პრაგმატული პოლიტიკა.

დეპუტატმა ადა მარშანიამ შემდეგ ისევ ბოკერიას მიმართა:

– ძალიან გთხოვთ, ბატონო ბოკერია, თქვენ სულ ნუ ნერგავთ საზოგადოებაში, განსაკუთრებით ახალ თაობაში... ანტირუსულ განწყობილებას არ ვიტყოდი...

დარბაზიდან ბოკერიას გამოპასუხებაზე, რომელმაც თქვა, რომ მას პუტინი სძულს, მარშანიამ უპასუხა:

– კი, ბატონო, გძულდეთ! გინდ გძულდეთ, გინდ არ გძულდეთ! საერთოდ, პოლიტიკაში სიძულვილი და სიყვარული არ ვიცი. ბატონო ბოკერია, არ ვიცი, თქვენ სად გასწავლეს ეგ ამბავი. პოლიტიკაში მე ვიცი ინტერესები. პირველ რიგში, მე ვიცი, ბატონო ბოკერია, რომ პუტინი არის რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი (მინდა ეს შეგახსენოთ). ეს თქვენ ყოველ წუთს უნდა გახსოვდეთ. ისიც მინდა შეგახსენოთ, რომ მოსწონთ თუ არა, მთელი მსოფლიო ამ ადამიანს ელაპარაკება, რომელიც თქვენ ასე არ მოგწონთ. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ პუტინი არის უძლიერესი ადამიანი, ძალიან რთული და მძიმე. ანგარიშგასაწევი ქვეყანაა და ძალიან დიდხანს ასე იქნება. თქვენი პირადი პრეზიდენტი, ბატონი სააკაშვილი რომ იყო, ესეც ჩვენ ძალიან კარგად გვახსოვს და, საერთოდ, თქვენ აქ რომ ზიხართ, ესეც უცნაურობაა.

შემდეგ ადა მარშანიამ კვლავ პრეზიდენტს მიმართა, პროკურატურასა და შს ორგანოებში, სასამართლო სისტემაში დღემდე რომ მუშაობენ ის ადამიანები, რომლებიც სააკაშვილის დროს მუშაობდნენ და დანაშაულობებს ჩადიოდნენ, ეს ხალხს აწუხებს, მაგრამ არ ესმის დღევანდელ ხელისუფლებას.

ეკა ბესელია: „თუ პარლამენტი თავად არ იცავს საკუთარ წესს და პროცედურებს, ვერასდროს გააკონტროლებს, როგორ იცავენ ამას სხვები“

– როდესაც ჩვენ მიერ არჩეული პრეზიდენტის პირველი გადაწყვეტილება იყო იმ სასახლის ზღურბლის გადაბიჯება, ჩემთვის ეს იყო იმ პრინციპების დარღვევა, რისთვისაც ჩვენ ვიბრძოდით, – ამის შესახებ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ განაცხადა.

– ჩვენ, ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი, 119 დღე ვიდექით, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი იმ სასახლეში არ შესულიყო. ვიდექით იმ სასახლესთან იმიტომ, რომ ის იყო სიმბოლო უსამართლობის. ამის შემდეგ, როდესაც ჩვენ მიერ არჩეული პრეზიდენტის პირველი გადაწყვეტილება იყო იმ ზღურბლის გადაბიჯება, ჩემთვის იყო იმ პრინციპების დარღვევა, რისთვისაც ჩვენ ვიბრძოდით, – განაცხადა ბესელიამ.

მისივე თქმით, პრეზიდენტის დღევანდელი საქციელი მოწმობს, რომ მმართველ გუნდსა და გიორგი მარგველაშვილს შორის დაპირისპირება პიროვნული არ არის.

– ყველაზე სამწუხარო ჩემთვის არის ახლა ის სურათი, რაც ამ დარბაზში ჩანს. ვფიქრობ, ეს სურათი არის პასუხი იმ კითხვებზე, რომელიც ხშირად ისმება – რა არის მთავარი გაუგებრობა პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის? რომ არ არის ეს პერსონალური დაპირისპირების საკითხი და არის ინსტიტუციური დამოკიდებულების პროცესში გამოჩენილი ძალიან დიდი უპატივცემულობა, ამის მაგალითია დღევანდელი დღე. მე მგონი, ჩვენ შორს წასვლა აღარ დაგვჭირდება არგუმენტების საძებრად. რაც ჩვენ დღეს ვნახეთ, ეს არის ძალიან, ძალიან სამწუხარო პრეზიდენტისგან, რომელსაც დიახ, ევალება, თავად იყოს გარანტი კანონის დაცვის და იმ ინსტიტუტის პატივისცემის, რომელსაც ევალება არა მხოლოდ კანონის მიღება, არამედ ამ კანონის დაცვაც. კანონმდებლები თუ გადავაბიჯებდით იმ პროცედურებს, რომლის დარღვევას ასე დაბეჯითებით გვთხოვდა ოპოზიცია, ეს ნიშნავს იმას, რომ გადავაბიჯებდით იმ ზღურბლს, რომლის დაცვა არის პრინციპულად მნიშვნელოვანი. თუ პარლამენტი თავად არ იცავს საკუთარ წესს და პროცედურებს, ვერასდროს გააკონტროლებს, როგორ იცავენ ამას სხვები. პრეზიდენტი დღეს სამწუხაროდ იყო მაგალითი, რომ არათუ არ სცა პატივი ამ წესებს და პროცედურებს, არამედ თქვა, რომ მისთვის საგამონაკლისო სივრცე შექმნილიყო ამ პარლამენტში. ჩვენ სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ, – განაცხადა ბესელიამ.

გიორგი გახარია პრეზიდენტის მოხსენებაზე: „სამწუხაროდ, ეს იყო უფრო პოპულისტური გამოსვლა“

– სამწუხაროდ, ეს იყო უფრო პოპულისტური გამოსვლა, – ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ პრეზიდენტის ანგარიშის შეფასებისას განაცხადა.

როგორც გიორგი გახარიამ აღნიშნა, ის პრეზიდენტისგან უფრო შინაარსობრივ საუბარს ელოდა არსებულ პრობლემებზე.

– გულწრფელად, სამწუხაროდ, ცოტა იმედგაცრუებული ვარ. ველოდი უფრო შინაარსობრივ, ობიექტურ საუბარს არსებულ პრობლემებზე. უფრო შინაარსობრივს იმიტომ, რომ ამ პრობლემებს ჩვენც ვხედავთ და დისკუსიის არსი უნდა ყოფილიყო ამ პრობლემების მოგვარების გზების ძებნაში. სამწუხაროდ, ეს იყო უფრო პოპულისტური გამოსვლა. განსაკუთრებით სამწუხაროა ეს ჩემთვის, ეს ბოლო გამოსვლა იყო. მეტს ველოდი შინაარსობრივ თემებზე საუბარს, მათ შორის ჩვენი მიმართულებითაც. მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ობიექტური საუბარი არსებულ პრობლემებზე იქნებოდა ჩვენთვის ყველაზე მისასალმებელი, – განაცხადა გახარიამ.

ზაქარია ქუცნაშვილი: „არ არის ლამაზი, როცა მთავარსარდალი დარბაზიდან გადის“

– ვალდებული ვარ, როგორც ადამიანმა და როგორც მთიელმა, ბატონ პრეზიდენტს ვუთხრა: არ არის ლამაზი, როცა მთავარსარდალი დარბაზიდან გადის, – აღნიშნული განცხადება პარლამენტის პლენარულ სხდომაზე „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ზაქარია ქუცნაშვილმა გააკეთა.

– ეს დარბაზი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა. ვსაუბრობთ თქვენი ხელმძღვანელობით (პრეზიდენტი მყავს მხედველობაში) უშიშროების საბჭოს შენარჩუნების აუცილებლობაზე და ამ დროს, მორიგ სიტყვას არ ველოდებით. მოგვწონს სტრატეგიული მოთმინების პოლიტიკა და ამ დროს რამდენიმე საათით მოთმინება გვიჭირს. რა უფლება მაქვს თქვენს პირად ემოციას შევეხო, მაგრამ ხომ იცით, სახელმწიფო პოლიტიკურ პირებს პირად ემოციაზე აყოლის უფლება არა გვაქვს, – განაცხადა ქუცნაშვილმა პრეზიდენტის მისამართით.

მას შემდეგ, რაც პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ დებატებში პრეზიდენტის პერმანენტული მონაწილეობისთვის ცვლილებები არ განხორციელდებოდა, საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა პარლამენტის შენობა დატოვა.

„ურთიერთსოლიდარობის კანონის“ ამოქმედებიდან ერთ დღეში დაჯარიმებული მწეველები

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონის ძალაში შესვლიდან ერთ დღეში სამართალდამცველებმა კანონდარღვევის ფაქტები გამოავლინეს და რამდენიმე პირი დააჯარიმეს კიდეც.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალაში შესვლის შემდეგ, 1 მაისის 07:00 საათიდან 2 მაისის 07:00 საათამდე, კანონით აკრძალულ ტერიტორიაზე სიგარეტის მოწევისთვის 3 ადამიანი დაჯარიმდა. აღნიშნული კანონის დარღვევისთვის კი მთელი ქვეყნის მასშტაბით, საპატრულო პოლიციაში 12 შეტყობინება შევიდა. აქედან კანონდარღვევის 9 ფაქტი არ დადასტურდა.

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონის აკრძალვაზე რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „კომერსანტის თემა სალომე სოსელიასთან ერთად“ ისაუბრა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ აკაკი ზოიძემაც.

– ეს კანონი გახლავთ ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთსოლიდარობის კანონი. შემთხვევით არ აგვირჩევია პირველი მაისი კანონის ძალაში შესვლის დღედ, ეს დღე საერთაშორისო სოლიდარობის დღეა. პირველი მაისი უნდა იქცეს ჩვენი არამწეველი საზოგადოების სოლიდარობის დღედ, მცირე უხერხულობის ფასად ჩვენ შევინარჩუნებთ მინიმუმ იმ 2.100 ჩვენი მოქალაქის სიცოცხლეს, რომლებიც 10 წლით ადრე იღუპებიან სწორედ იმიტომ, რომ უწევთ გამონაბოლქვის შესუნთქვა.

ჩვენ სანამ ამ კანონს მივიღებდით, შევისწავლეთ საზოგადოების აზრი და მოსახლეობის 75%-ზე მეტი უჭერდა მხარს კანონის მიღებას, – ამბობს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე.

აკაკი ზოიძემ ასევე ისაუბრა ელექტრონულ სიგარეტზეც, რომელიც, მისი თქმით, შეიცავს ისეთ კანცეროგენს, რომელიც 10-ჯერ უფრო ამაღლებს სიმსივნის რისკს. ჩილიმ ბარების შემთხვევაში, ბარებს აქვთ უფლება, ჩილიმი გარეთ დადგან.

– ჩილიმი თამბაქოზე ნაკლებ მავნებლობის არ არის, იგი ტუბერკულოზის გადამტანია და, მაგალითად, ყაზახეთში უკვე აიკრძალა, – ამბობს აკაკი ზოიძე.

აკაკი ზოიძის თქმით, კანონის მთავარი შედეგი იქნება ის, რომ შემდეგი 15 წლის განმავლობაში 53 ათასი ადამიანის სიცოცხლეს არ შეექმნება საფრთხე, ხოლო დაიზოგება 3,6 მილიარდ ლარზე მეტი.

– პირველი მაისიდან ასევე აიკრძალა რეკლამირება და სპონსორობა. კანონი, რომელიც თანდათან შევა ძალაში, არის მცდელობა, რომ ჩვენი ახალგაზრდები არ ჩაერთონ თამბაქოს მოწევის მომაკვდინებელ წრეში. რეკლამის აკრძალვა ხელს შეუწყობს იმას, რომ თამბაქოს სოციალური მიმღებლობა აღარ იყოს ამ ქვეყანაში, – აღნიშნავს აკაკი ზოიძე.

კომერსანტი

პრეზიდენტი: „ჩვენ შევძელით და ბიზნესზე წნეხი ნამდვილად აღარ ხორციელდება, ბიზნესი დღეს თავისუფალია“

– ჩვენ შევძელით და ბიზნესზე წნეხი ნამდვილად აღარ ხორციელდება, ბიზნესი დღეს თავისუფალია, – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა პარლამენტის წინაშე ანგარიშით გამოსვლისას განაცხადა.

პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ „მცირე და საშუალო ბიზნესი ჯერ კიდევ ძალიან მცირე მოცულობით არის ჩვენს ქვეყანაში და ჯერ კიდევ დიდი ბიზნესის ჩრდილშია“.

– ჩვენ შევძელით და ის წნეხი, რომელიც იყო ბიზნესზე, ნამდვილად აღარ ხორციელდება და ბიზნესი თავისუფალია. ეს ნამდვილად პოზიტიური და წინგადადგმული ნაბიჯია. მივესალმები პრემიერის ინიციატივებს საგადასახადო მიმართულებით. ესეც გვაჩვენებს, რომ პოზიტიური ნაბიჯია. მივესალმები სტარტაპებისა და ინოვაციების ხელშეწყობას, თუმცა 2020-ის მიზანი სოციალური თანასწორობის მიმართულებით, სამწუხაროდ, ვერ იქნა მიღწეული. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს საზოგადოებაში მაღალი უთანასწორობაა და ეს ფაქტია.

ამ უთანასწორობის ფონზე სერიოზული დარტყმა იყო ჩვენი მოსახლეობისთვის ის პროცესები, რაც მიმდინარეობდა საბანკო სესხებთან მიმართებაში, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა და ეროვნულ ბანკს მადლობა გადაუხადა იმ ნაბიჯებისთვის, რომელსაც ის დგამს, სტაბილურობისა და მომავლის განჭვრეტისთვის.

კალაძე: „შეუძლებელია იმის დაკმაყოფილება, რასაც მეტროს თანამშრომლები ითხოვენ“

მეტრო გაიხსნება თუ არა, ამ გადაწყვეტილებას ვიღებ მე და დედაქალაქის მთავრობა, მეტრო იმუშავებს, როგორც 3 მაისს, ასევე, ნებისმიერ დღეს, – ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა, სადაც მეტროში არსებული ალტერნატიული პროფკავშირის „ერთობა 2013“ მიერ დაანონსებულ აქციას გამოეხმაურა.

– არაერთი შეხვედრა გაიმართა მერიაში, დედაქალაქის მთავრობასთან, სადაც ჩვენ მათ დეტალურად განვუმარტეთ ის რეალობა და ეკონომიკური ვითარება, რაც დღეს მუნიციპალიტეტში არსებობს და ძალიან კარგად იქნა მათთვის ახსნილი, რომ შეუძლებელია იმის დაკმაყოფილება, რასაც ეს ადამიანები ითხოვენ. ჩემთვის, ისევე როგორც თითოეული მოქალაქისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია ის შრომა, რასაც ეს ადამიანები ეწევიან, ისევე, როგორც მუნიციპალიტეტის სხვა სტრუქტურებში დასაქმებული ადამიანების არანაკლებ საპასუხისმგებლო საქმიანობა. ჩვენი მიზანია მუნიციპალიტეტის ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება და ამის შედეგად როგორც მოქალაქეების, ისე მუნიციპალიტეტის სისტემაში დასაქმებული ადამიანების შრომითი სისტემის გაუმჯობესება, – განაცხადა კალაძემ.

მისივე თქმით, არასდროს მიუდგება ინდივიდუალურად თანამშრომელთა რომელიმე კონკრეტულ ჯგუფს და არ მიიღებს მხოლოდ მათთვის მისაღებ გადაწყვეტილებას.

– ჯერ კიდევ ოფიციალურად არ მქონდა მუშაობა დაწყებული, როდესაც მივედი სატრანსპორტო კომპანიაში და დავუდასტურე პატივისცემა. კარგად მაქვს გააზრებული ამ ადამიანების შრომა, თუმცა ის დამოკიდებულება, ის მიდგომები, რაც ჩვენ ბოლო დღეების განმავლობაში მოვისმინეთ, სრულიად მიუღებელია.

ასევე, სრულად მიუღებელია, რომ ეს ადამიანები და პროფესიული კავშირის წევრები საუბრობენ სატრანსპორტო კომპანიისა და მუნიციპალიტეტის სახელით და ულტიმატუმის ენით ელაპარაკებიან არა მხოლოდ მერიას, არამედ დედაქალაქის მოსახლეობას. ამ ადამიანებს შეუძლიათ ისაუბრონ საკუთარ გადაწყვეტილებებსა და განსახორციელებელ ღონისძიებებზე, რა თქმა უნდა, თუ ეს კანონს არ ეწინააღმდეგება. მაგრამ მეტრო გაიხსნება თუ არ გაიხსნება, ამ გადაწყვეტილებას ვიღებ მე და ვიღებთ ჩვენ – დედაქალაქის მთავრობა.

მინდა, მკაფიოდ განვუცხადო ყველას, ვინც გაფიცვას აპირებთ და ასევე დედაქალაქის მოსახლეობას, რომ მეტრო იმუშავებს როგორც 3 მაისს, ასევე, ნებისმიერ დღეს, – განაცხადა კალაძემ.

შეგახსენებთ, რომ მეტროში არსებული ალტერნატიული პროფკავშირი „ერთობა 2013“ მემანქანეთა ხელფასების მომატების მოთხოვნით გაფიცვას გეგმავს.

ბპნ

ბიზნესმენები პრეზიდენტს: „წნეხი აღარაა, თუმცა ბიზნესში ტემპია საჭირო“

– ჩვენ შევძელით და ის წნეხი, რომელიც იყო ბიზნესზე, ნამდვილად აღარ ხორციელდება და ბიზნესი თავისუფალია. ეს ნამდვილად პოზიტიური და წინგადადგმული ნაბიჯია, – ამის შესახებ პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა.

აღნიშნულთან დაკავშირებით „კომერსანტი“ ბიზნესმენებს დაუკავშირდა და მათ პრეზიდენტის განცხადება შეაფასებინა. როგორც აღმოჩნდა, ბიზნესმენები წნეხისგან გათავისუფლდნენ, თუმცა, მათი მოთხოვნები ამ ეტაპზე სხვაგვარია.

ღვინის მწარმოებელი კომპანია „თელავის ღვინის მარნის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ რამაზაშვილი აცხადებს, რომ ბიზნესს წნეხი ამ ეტაპზე ნამდვილად მოეხსნა.

– წნეხი ამჟამად საერთოდ არ არსებობს და ბიზნესი სრულიად თავისუფალია. წარსულში ბიზნესმენისთვის ქონების ჩამორთმევა და მისი დაკავება ხშირად ხდებოდა, ამ ეტაპზე ეს აღარ ხდება. მეღვინეობის სექტორში სახელმწიფო სტრუქტურებთან ახლა კოლეგიალური დამოკიდებულებაა, – განაცხადა რამაზაშვილმა.

სამშენებლო კომპანია „ივერონის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი არჩილ ჯაყელი მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე ქვეყანაში ბიზნესის უკეთ განვითარებისთვის ტემპის მომატებაა საჭირო.

– წნეხი აღარ არსებობს, თუმცა ტემპის მომატებაა საჭირო. წარსულში ბიზნესი სწრაფი ტემპებით ვითარდებოდა. რა თქმა უნდა, წარსულში ხშირად ხდებოდა ბიზნესმენებისთვის ქონების ჩამორთმევა, – აღნიშნა ჯაყელმა.

„ბიუ ბიუს“ ხელმძღვანელი რევაზ ვაშაკიძის თქმით, ბიზნესში წნეხი აღარაა, ის თავისუფალია, თუმცა, წნეხი არც წარსულში იყო. რაც შეეხება ბიზნესში სწრაფ ტემპებს, ვაშაკიძე აცხადებს, რომ ეს აუცილებელი პირობა უნდა იყოს.

პრეზიდენტმა პარლამენტის დღევანდელ სხდომაზე პრემიერის ინიციატივასთან დაკავშირებითაც გააკეთა კომენტარი.

– მე ასევე მივესალმები პრემიერის ინიციატივებს საგადასახადო მიმართულებით და ესეც გვაჩვენებს, რომ გადადგმულია პოზიტიური ნაბიჯი. მივესალმები სტარტაპებისა და ინოვაციების ხელშეწყობას, – აღნიშნა მარგველაშვილმა.

რა მეთოდებს იყენებენ ქართველი ემიგრანტები ევროპის ქვეყნებში თავშესაფრის მისაღებად

ევროპის ქვეყნებში თავშესაფრის მაძიებელი ქართველები – ძნელია ვარაუდის დონეზე მაინც იმის გამოცნობა, ეს თემა რამდენ ხანს იქნება აქტუალური და, რაც მთავარია, პრობლემური. თვეში რამდენჯერმე ევროპული გამოცემები თავშესაფრის მაძიებელთა ახალ-ახალ სტატისტიკას აქვეყნებენ და ყოველი მომდევნო წინაზე საგანგაშოა.

ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობს და არასახარბიელო მონაცემებს აქვეყნებს გერმანული მედია. ქართული საზოგადოების ნაწილის ვერსიით, ეს რუსეთის პროპაგანდის ნაწილია. სხვები კი ამ სტატისტიკას სახიფათოდ აღიქვამენ და შესაძლო გართულებებზე საუბრობენ.

AMBEBI.GE– სთან საუბარში გერმანიაში არალეგალურად მცხოვრები ქართველი გოგონა ამბობს, რომ უარის შემთხვევაში, ადვოკატის რჩევით, გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს და ვიდრე სასამართლო პროცესი იქნება, რომელიც, როგორც წესი, დროში იწელება, ის სხვა ქვეყანაში გადასვლას მოასწრებს.

– მე ადვოკატის ფული არ მაქვს, მაგრამ მათ აქ არსებული საერთაშორისო ორგანიზაციები აფინანსებენ. ეს ერთგვარი უფლებადამცველი ორგანიზაციებია, რომელთაც, როგორც ვიცი, პროექტები აქვთ და ფინანსურ დივიდენდებზე მუშაობენ. ამიტომ მიყვარს ევროპა – შანსს გაძლევს, თუ იბრძოლებ, შეიძლება წარმატებას მიაღწიო. ჩემი ნებით დაბრუნებას არ ვაპირებ, – ამბობს ის.

ლტოლვილთა თავშესაფარში რამდენიმეთვიანი ცხოვრების შემდეგ, თავშესაფრის მიცემაზე უარი უთხრეს 32 წლის ნანას, რომელიც გერმანიას უვიზო მიმოსვლის ამოქმედების შემდეგ ეწვია და სამშობლოში დაბრუნება ერთი კვირის შემდეგ მოუწევს.

– არიან ისეთებიც, ვინც პასუხის მოსვლამდე სხვა ქვეყანაში გადავიდა. ევროპაში გადაადგილება უპრობლემოდ ხდება, თუმცა, ასევე უპრობლემოდ ხდება მათი აყვანა და დეპორტაცია. ზოგს უმართლებს და რჩება. მეც ვნანობ, რომ იგივე არ გავაკეთე, – დეპორტაციას ავცდებოდი. ეს ჩემი სიტუაციის გამოსწორების ერთადერთი შანსი იყო. დაბრუნების შემდეგ, ალბათ საბუთებს შევცვლი და თურქეთში გადავალ. არადა, ამ განცხადებაში მივუთითე, რომ უკიდურესად მძიმე ეკონომიკური პირობების გამო ვითხოვდი თავშესაფარს, მაგრამ ამის აუცილებლობას ვერ ვხედავთო, – მითხრეს.

ბპნ

2017 წელს მშპ-ს რეალური ზრდა წინა წელთან შედარებით 5,0 პროცენტით განისაზღვრა

სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა პარლამენტს 2017 წლის საქმიანობის ანგარიში გაუგზავნა. დოკუმენტს საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და პოლიტიკის კომიტეტი განიხილავს. გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, მთლიანმა შიდა პროდუქტმა მიმდინარე ფასში 3.8042,2 მლნ ლარი შეადგინა, რაც 11,8 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. მშპ-ს რეალური ზრდა 2017 წელს წინა წელთან შედარებით 5,0 პროცენტით განისაზღვრა.

საქსტატის ინფორმაციით, მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა ვაჭრობა (17,6 პროცენტი) და მრეწველობა (16,4 პროცენტი). შემდგომ პოზიციებს იკავებს ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (10,2 პროცენტი), მშენებლობა (9,3 პროცენტი), სახელმწიფო მმართველობა (8,5 პროცენტი), სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა (8,2 პროცენტი), ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა (6,9 პროცენტი), ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება (6,0 პროცენტი).

კვლევაში ვკითხულობთ, რომ 11,2 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა სამშენებლო სექტორში, ასევე გაიზარდა სასტუმროები და რესტორნები (11,2 პროცენტი), საფინანსო საქმიანობა (9,2 პროცენტი), ტრანსპორტი (7,2 პროცენტი), სამთომოპოვებით მრეწველობა (7,1 პროცენტი), ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი (6,6 პროცენტი), ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა (6,3 პროცენტი), დამამუშავებელი მრეწველობა (5,0 პროცენტი).

კლება აღინიშნა სოფლის მეურნეობისა (-2,7 პროცენტი) და შინამეურნეობების მიერ პროდუქციის გადამუშავების (-2,7 პროცენტი) სექტორებში.

ავტოსაგზაო შემთხვევა ნუცუბიძეზე — დაშავდა ერთი ადამიანი

გუშინ დილით ნუცუბიძის ქუჩაზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. ერთმანეთს ორი მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა, რის შემდეგაც ერთ-ერთი მანქანა გაჩერებულ ავტომობილს, მეორე კი ბოძს შეეჯახა. დაშავებულია ერთი ადამიანი. აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით შსს-მ გამოძიება დაიწყო.

ქსნის ქუჩაზე, ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში ხელყუმბარა იპოვეს

თბილისში, ქსნის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოში ხელყუმბარა იპოვეს. მოსახლეობა ამბობს, რომ ხელყუმბარა ერთ-ერთი ბინის კართან იდო.

ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 236-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო, რაც გულისხმობს ცეცხლსასროლი იარაღის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარებას.

ზუგდიდში დევნის ოპერაციისას პოლიციელი დაჭრეს

გავრცელებული ინფორმაციით, ზუგდიდში პოლიციელი დაჭრეს.

როგორც „ნიუპოსტს“ თვითმხილველები უყვებიან, სამართალდამცავი ცივი იარაღით იმ პირმა დაჭრა, რომელმაც გუშინ დღის პირველ ნახევარში ლომბარდი გაძარცვა.

დაჭრილი ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოში საპატრულო ეკიპაჟმა მიიყვანა. დაშავებული ამბობს, რომ ის არ დაუჭრიათ, დაზიანება კი დევნის ოპერაციისას მიიღო.

პოლიციელის დაჭრას არ ადასტურებენ შს სამინისტროში. უწყებაში „ნიუპოსტს“ უთხრეს, რომ სამართალდამცავი დევნის ოპერაციისას დაშავდა.

ახალგორში 22 წლის ბიჭმა 90 წლის ქალი ჯერ გააუპატიურა, შემდეგ კი მოკლა

ოკუპირებულ ახალგორში 90 წლის ქალი ჯერ გააუპატიურეს და შემდეგ მოკლეს. მკვლელობაში ეჭვმიტანილი 22 წლის ქართველი ბიჭია, რომელიც უკვე დააკავეს.

ფაქტი „ნიუპოსტს“ ახალგორის გამგებელმა ნუგზარ თინიკაშვილმა დაუდასტურა.

მისი თქმით, შემთხვევა 1 მაისს მოხდა

ტარიელ კაკაბაძე: „ოქროს მოწმის“ ჩვენებით, ბრალდებულების მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი არ დასტურდება“

– პროკურატურის ერთ-ერთი „ოქროს მოწმის“ ჩვენებით, არც ერთი ბრალდებულის მიერ დანის გამოყენება არ დადასტურდა, – ამის შესახებ ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმეზე ერთ-ერთი არასრულწოვანი ბრალდებულის ადვოკატმა ტარიელ კაკაბაძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი ინფორმაციით, გუშინდელ სასამართლო პროცესზე დაკითხულმა მოწმემაც მნიშვნელოვან გარემოებებთან დაკავშირებით ჩვენება შეცვალა და სასამართლოს განსხვავებული ინფორმაცია მიაწოდა.

– დავკითხეთ ერთ-ერთი „ოქროს მოწმე“, რომელმაც დაცვის მხარის შეფასებით არ დაადასტურა ბრალდებულებისთვის ბრალად წარდგენილი ქმედება. მისი ჩვენება პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის ბრალდების დადგენილებასთან, პოზიციასთან და იმ ყველაფერთან, რის დამტკიცებასაც ცდილობს ბრალდების მხარე.

მისი ჩვენებით არც ერთი ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი არ დადასტურდა, თუმცა მის მიერ გაჟღერებული გარკვეული გარემოებები ნამდვილად იყო თავსებადობაში რიგი მოწმეების ჩვენებებთან. მისი ჩვენებით, არც ერთი ბრალდებულის მიერ დანის გამოყენება არ დადასტურდა. მოწმეს საერთოდ არ უხსენებია ის, რომ კონკრეტულმა ბრალდებულმა კონკრეტულ პიროვნებას მიაყენა დანით ჭრილობა, – განაცხადა ტარიელ კაკაბაძემ.

* * *

ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმეზე ექსპერტიზის ჩასატარებლად ბრიტანელი ექსპერტები საქართველოში დაახლოებით 10 დღეში ჩამოვლენ. ამის შესახებ ჟურნალისტებს საქმეზე ერთ-ერთი ბრალდებული არასრულწლოვანის ადვოკატმა, ტარიელ კაკაბაძემ განუცხადა.

მისი ინფორმაციით, ექსპერტები ნივთმტკიცებებთან სავარაუდოდ ორი დღის განმავლობაში იმუშავებენ. კაკაბაძე დარწმუნებულია, რომ ბრიტანელი ექსპერტების დასკვნა საქმეში არსებულ ყველა კითხვას გასცემს პასუხს.

– ბრიტანელი ექსპერტები საქართველოში დაბრუნებას დაახლოებით 10 დღეში აპირებენ, რათა გააგრძელონ მუშაობა იმ ნივთმტკიცებებთან, რომლებიც გადმოგვეცემა ბრალდების მხარის მიერ. ამ ეტაპზე ნამდვილად არაფერი უდგას წინ იმას, რომ გადმოგვეცეს ნივთმტკიცებები, თუმცა ველოდებით

საქართველოში ექსპერტების ჩამოსვლას. მძიმე სამუშაო გრაფიკიდან გამომდინარე მათ არ შეუძლიათ დღეების და თვეების განმავლობაში დარჩნენ საქართველოში. შესაბამისად, ისინი დაახლოებით თვეში ორჯერ შეძლებენ საქართველოში ჩამოსვლას და მუშაობას ექსპერტიზებზე. დარწმუნებული ვარ, ექსპერტების მიერ დადებული დასკვნა უპასუხებს იმ შეკითხვებს, რასაც ბრალდების მხარის ვერც ერთი მტკიცებულება ვერ პასუხობს, – განაცხადა ტარიელ კაკაბაძემ.

მედიკამენტების კონტრაბანდის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

მედიკამენტების კონტრაბანდის ფაქტზე საგამოძიებო სამსახურმა ერთი პირი დააკავა.

– საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევის ფაქტზე, ერთი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, საბაჟო გამშვები პუნქტი „სარფის“ გავლით, საბაჟო კონტროლისგან მალულად, მისივე მართვის ქვეშ არსებულ ავტომანქანაში მოწყობილი სამალავით, საქართველოს ტერიტორიაზე შემოიტანა დიდი ოდენობით – ჯამში 33 დასახელების მედიკამენტი.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულია 6.470 ლარის ღირებულების კონტრაბანდული მედიკამენტები.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3-დან 5 წლამდე ვადით, – აღნიშნულია საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

პროკურორი: „ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს ბრალდების მხარე დაცვის მხარეს არ აწვდის ნივთმტკიცებებს, რაც სიცრუეა“

– ჩემდა გასაკვირად ვრცელდება ინფორმაცია, თითქოსდა ბრალდების მხარე არ აწვდის დაცვის მხარეს ნივთმტკიცებებს, რაც მტკნარი სიცრუეა, – ამის შესახებ ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმის პროკურორმა ზვიად ფხაკაძემ ჟურნალისტებს დღევანდელი სასამართლო პროცესის დაწყებამდე განუცხადა. პროკურორი განმარტავს, რომ ბრალდების მხარე, ნებისმიერ დროს, მზადაა დაცვას ნივთმტკიცებები გადასცეს და ეს პოზიცია მან 24 აპრილს დააფიქსირა.

– ბრალდების მხარემ, 2018 წლის 24 აპრილს სასამართლო სხდომაზე დააფიქსირა პოზიცია, რათა დაცვის მხარეს წაეღო ნივთიერი მტკიცებულებები, რომლებზეც აცხადებს დაცვა, რომ თითქოსდა ბრალდების მხარეს ეს ნივთიერი მტკიცებულებები არ მიუცია მისთვის.

ჩვენ ვადასტურებთ მზადყოფნას, ნებისმიერ დროს, მათ შორის არასამუშაო საათებში ან არასამუშაო დღეს, ნებისმიერ ადგილზე, სათანადო დოკუმენტაციის გაფორმების შემთხვევაში, დაცვის მხარეს მივაწოდოთ ხსენებული ნივთმტკიცებები, რომელზეც მათ მიეცემათ შესაძლებლობა, ჩაატარონ საექსპერტო კვლევა. ჩვენ მიერ ამ პოზიციის დაფიქსირების მიუხედავად, ჩემდა გასაკვირად ვრცელდება ინფორმაცია, თითქოსდა ბრალდების მხარე არ აწვდის დაცვის მხარეს ნივთიერ მტკიცებულებებს და ამით ჭიანურდება საექსპერტო კვლევის ჩატარება. ეს არის მტკნარი სიცრუე და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობა, – განაცხადა ზვიად ფხაკაძემ.

რაც შეეხება 2 მაისს გამართულ პროცესს, პროკურორის თქმით, სხდომაზე ბრალდება მტკიცებულებების გამოკვლევას გააგრძელებს.

ფხაკაძის თქმით, დასაკითხ მოწმეებს შორის ერთი პირი უშუალოდ კონფლიქტის მონაწილეა. ასევე დაგეგმილია იმ გამომძიებლების დაკითხვა, რომლებიც საქმეზე მტკიცებულებების შეგროვებაში უშუალოდ მონაწილეობდნენ.

შეგახსენებთ, რომ ხორავას ქუჩაზე ორი მოზარდი 2017 წლის პირველ დეკემბერს დაჭრეს. ერთი მოზარდი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა, მეორე მოზარდი კი, ექიმების მცდელობისა და რამდენიმე ოპერაციის ჩატარების მიუხედავად, 2 დეკემბერს საავადმყოფოში დაიღუპა.

მარტვილის მერიის მაღალჩინოსანი დააკავეს

სუს-მა მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი დიმა წულაია დააკავა.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, წულაია მიწების დაკანონების საბუთებს აყალბებდა და ერთ-ერთი დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე მოხდა მისი დაკავება.

მეტროსადგურ „თავისუფლების მოედანთან“ დაჭრის ბრალდებით ორი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჯგუფურად, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით 2 პირი – 2000 წელს დაბადებული თ.ე. და ასევე 2000 წელს დაბადებული გ.ჩ. თბილისში, ცხელ კვალზე დაიკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულებმა მიმდინარე წლის 1 მაისს თბილისში, მეტროსადგურ „თავისუფლების მოედანთან“, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1989 წელს დაბადებულ გ.ს.-ს და 1999 წელს დაბადებულ ა.ხ.-ს ცივი იარაღით სხეულზე დაზიანებები მიაყენეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. დაჭრილები სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ კლინიკაში გადაიყვანა. მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

გამოძიება ჯგუფურად, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 19-109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

ზუგდიდის ერთ-ერთ სოფელში ავტომობილების აკუმულატორების ქურდობის ბრალდებით სამი მამაკაცი დააკავეს

ავტომობილების აკუმულატორების ქურდობის ბრალდებით ზუგდიდის ერთ-ერთ სოფელში სამი ახალგაზრდა მამაკაცი დააკავეს.

არსებული ინფორმაციით, მათ დაკავებისას ნაქურდალი ნივთები აღმოაჩნდათ.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში „ინტერპრესნიუსს“ განუცხადეს, ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით დაიწყო, რაც ქურდობას გულისხმობს.

ტრამპი შესაძლოა იერუსალიმს ესტუმროს

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ შესაძლოა მალე იერუსალიმს ესტუმროს.

– უდიდესი სურვილი მაქვს ჩავიდე იერუსალიმში, სადაც ჩვენს საელჩოს გადავიტანთ, – თქვა პრეზიდენტმა.

ტრამპის ამ განცხადებას ისრაელის პრემიერი ნეთანიაჰუ გამოეხმაურა. მან თქვა, რომ მოხარული იქნება, თუკი ტრამპს ისრაელის დედაქალაქ იერუსალიმში უმასპინძლებს.

მაიკ პომპეო: „ჩვენი პოლიტიკა უფრო ენერგიული და ხისტი უნდა გახდეს!“

აშშ-ის ახალი სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო სახელმწიფო დეპარტამენტის დიპლომატიურ კორპუსს შეხვდა. მან ამერიკელ დიპლომატებს გაწეული სამუშაოს გამო მადლობა გადაუხადა.

– ამერიკა თქვენით ამაყობს! – თქვა პომპეომ.

ამავე დროს, ახალმა სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ აშშ-ის პოლიტიკა უფრო ხისტი და ენერგიული უნდა გახდეს.

– ეს დროის მოთხოვნაა, – ამბობს პომპეო.

ირანში მიწისძვრა მოხდა



ირანში მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაშავებულთა რიცხვმა 51-ს მიაღწია. 31 ადამიანს ჰოსპიტალიზაცია დასჭირდა, კიდევ 20-ს კი ექიმებმა დახმარება ადგილზე აღმოუჩინეს.

ირანის ცენტრალურ ნაწილში 5,3 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა გუშინ, 2 მაისს, ადგილობრივი დროით 04:08 საათზე, ქალაქ იასუჯიდან 11 კილომეტრში მოხდა.

მიწისძვრის კერა 10 კილომეტრის სიღრმეზე მდებარეობდა.

სომხეთის პარლამენტმა პაშინიანს მხარი არ დაუჭირა

განმეორებითი კენჭისყრა 8 მაისს გაიმართება

სომხეთისათვის წლევანდელი 1 მაისი განსაკუთრებული იყო. პარლამენტს საგანგებო სესიაზე ახალი პრემიერ-მინისტრი უნდა დაემტკიცებინა. ამ პოსტზე ერთადერთი კანდიდატურა განიხილებოდა – დემოკრატიული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ნიკოლ პაშინიანი.

პარლამენტის სხდომის წინ პაშინიანი სომხეთის ვიცე-პრემიერ შარმაზონოვს შეხვდა. საუბრის შემდეგ შარმაზონოვმა განაცხადა:

– შეუძლებელია, რომ პაშინიანი პრემიერი გახდეს!

თავად ოპოზიციის ლიდერი გაწბილებული და აღშფოთებული გამოიყურებოდა. ჟურნალისტებთან საუბარში მან თქვა, რომ მმართველ რესპუბლიკურ პარტიას მისი კანდიდატურის დაბლოკვა სურს.

– ყარაბაღელთა დაჯგუფების ლიდერები კოჩარიანი და სერჟ სარგსიანი დეპუტატებს აშანტაჟებენ, რათა აიძულონ, ხმა ჩემ წინააღმდეგ მისცენ, – თქვა პაშინიანმა

პარლამენტის წინ ოპოზიციის უამრავმა მომხრემ მოიყარა თავი. საგანგებო სესიაც საპროტესტო აქციების ფონზე გაიმართა.

ნიკოლ პაშინიანმა პარლამენტის ტრიბუნიდან ვრცელი სიტყვა წარმოთქვა. მან ხაზი გაუსვა, რომ სომხური რევოლუცია და უკრაინული მაიდანი ერთმანეთისგან ძირეულად განსხვავდებიან. სომხეთს მხოლოდ დემოკრატია და კორუფციასთან ბრძოლა სურს, უკრაინელებმა კი ნატო და ევროკავშირი მოისურვეს.

პაშინიანმა კვლავ გაიმეორა, რომ სომხეთისთვის პრორუსულ ორიენტაციას ალტერნატივა არ გააჩნია. ქვეყანაც ევრაზიულ კავშირსა და დსთ-ს კოლექტიური თავდაცვის სისტემაში დარჩება.

– დიახ, მე სომხეთის ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ დღეს სომხეთი ამ კავშირის წევრია და იქიდან გამოსვლა კატასტროფას მოგვიტანს, – თქვა მან.

მმართველი პარტიის წარმომადგენლები კი პაშინიანს კითხვას კითხვაზე აყრიდნენ. მათ ოპოზიციის ლიდერს ბრალი პრო-ამერიკულ ორიენტაციაში დასდეს. პაშინიანმა ეს უარყო:

– მე პროსომხური ორიენტაციისა ვარ!

ზოგიერთმა პაშინიანს ნავალნისთან და სააკაშვილთან კავშირშიც დასდო ბრალი. პაშინიანმა მიუგო:

– არც ნავალნის ვიცნობ, არც სააკაშვილს!

მიუხედავად ამისა, ოპოზიციის ლიდერს ხმა მხოლოდ 45-მა დეპუტატმა მისცა, წინააღმდეგ – 55-მა. ამრიგად მმართველმა რესპუბლიკურმა პარტიამ მისი კანდიდატურის დაბლოკვა მოახერხა.

პაშინიანმა თავის მომხრეებს აქციების გაგრძელებისკენ მოუწოდა.

– მივმართავ პოლიციას, რათა ფარები და ხელკეტები გვერდზე გადადოს და შემოგვიერთდეს, – თქვა პაშინიანმა.

სომხეთის პრემიერ-მინისტრის არჩევნების მეორე ტური 8 მაისს გაიმართება.

ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ არა ბაბლოიანმა განაცხადა.

– პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, პრემიერ-მინისტრის არჩევის საკითხი განიხილება 8 მაისს, 12:00 საათზე, პარლამენტის საგანგებო სხდომაზე, – ნათქვამია ბაბლოიანის განცხადებაში, რომელიც პარლამენტის საიტზე გამოქვეყნდა.

რესპუბლიკაში კი საპროტესტო აქციები გრძელდება

მაროკომ ირანთან დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტა

მაროკოს ხელისუფლებამ ირანთან დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტა. აღნიშნული ნაბიჯი უკავშირდება იმ ფაქტს, რომ ირანის მოკავშირე ორგანიზაცია „ჰეზბოლა“ სამხედრო დახმარებას უწევს „პოლისარიოს ფრონტს“, რომელიც დასავლეთ საჰარას მაროკოსგან დამოუკიდებლობას უჭერს მხარს.

მაროკოს საგარეო საქმეთა მინისტრის ნასერ ბურიტას განცხადებით, აღნიშნული გადაწყვეტილება არ უკავშირდება რეგიონალურ და საერთაშორისო მოვლენებს.

– მე ახლახან დავბრუნდი ირანიდან, სადაც შეხვედრა გავმართე ირანის საგარეო საქმეთა მინისტრ მოჰამად ჯავად ზარიფთან. მე მას შევატყობინე, რომ მაროკოს სამეფომ ირანთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო, – განაცხადა ნასერ ბურიტამ.

მისივე თქმით, როდესაც საუბარი მიდის ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობაზე, ეროვნულ უსაფრთხოებაზე, საჭიროა მკაფიო გადაწყვეტილებების მიღება.

აღსანიშნავია, რომ ირანში მაროკოს ელჩმა უკვე დატოვა ქვეყანა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ალკოჰოლიზმისაგან ხარისხიანი გათავისუფლება, “პახმელიის“,ზაპოის“, აგრესიის და ყველანაირი გართულების მოხსნა. (შეგიძლიათ შეურიოთ საკვებში პაციენტისგან ფარულად) კუჭ-ნაწლავისა და სხვა ქრონიკული დაავადებების მკურნალობაა, მცენერეული, მაღალეფექტური, გარანტირებულად უსაფრთხო პრეპარატებით. მოგემსახურებათ კვალიფიციური ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 599 45 88 66, 597 98 95 99.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

რეალი ჩემპიონთა ლიგის ფინალში ზედიზედ მესამედ გავიდა

რეალი-ბაიერნი 2:2

მადრიდი. სანტიაგო ბერნაბეუ

0:1 კიმიხი (3), 1:1, 1:2 ბენზემა (11, 46), 2:2 როდრიგესი (63)

რეალი: ნავასი, ლუკას ვასკესი, კოვაჩიჩი (კაზემირო 73), რამოსი, მარსელო, ვარანი, ასენსიო (ნაჩო 88), რონალდო, კროოსი, ბენზემა (ბეილი 72), მოდრიჩი

ბაიერნი: ულრაიხი, კიმიხი, ზიულე, ჰუმელსი, ალაბა, ალკანტარა, ტოლისო (სანდრო ვაგნერი 74), რიბერი, როდრიგესი (მარტინესი 84), მიულერი, ლევანდოვსკი

მიმდინარე ჩემპიონთა ლიგის ფლეი ოფი ეპიკური ბრძოლებითა და დრამატული მატჩებით დახუნძლული აღმოჩნდა. მიუნხენში წაგებული

შეხვედრის შემდეგ ბაიერნმა მადრიდელებს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ პრობლემების მაქსიმუმი შეუქმნა. იუვენტუსის მიერ თითქმის გმირობის მსგავსად, ბავარიელებს ჰქონდათ შანსი. თუმცა, რეალმა, რომელიც ზედიზედ მესამედ გავიდა ფინალში, მეტოქეებს დაუმტკიცა, რომ თავისი შანსი უნდა გამოიყენონ.

მართალია, რეალს არ გამოუყენებია ყველა მომენტი, არც კრიშტიანუ რონალდუ ჩანდა მოედანზე და ისევ უგოლოდ დატოვა შეხვედრა, მაგრამ რეალმა გამოიყენა რაც საჭირო იყო და მოიგო. ბაიერნი კი რეალიზაციამ დააღალატა.

არადა, ჯოშუა კიმიხის კარგი გარჯის შემდეგ, ბაიერნი დასაწყისშივე დაწინაურდა. ეს თითქოს შოკი უნდა ყოფილიყო მასპინძლებისთვის, მაგრამ სწრაფადვე გასცეს პასუხი – ეს ქარიმ ბენზემამ მოახერხა.

პირველი ტაიმი მაღალ ტემპში წარიმართა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა. თუმცა, იყო ერთი მომენტი, ისევ საკამათო და ისევ რეალის სასარგებლოდ, როდესაც ჯიუნით ჩექირმა მადრიელთა კარში პენალტი არ დანიშნა.

მე-2 ტაიმის დასაწყისშივე კი ბავარიელთა მცველებმა და განსაკუთრებით მეკარე ულრაიხმა საჩუქარი ხონჩით მიართვეს ბენზემას, რომელმაც ცარიელ კარში გაიტანა. ბავარიელთა ამოცანა გართულდა, მაგრამ არ დანებდნენ და 63-ე წუთზე ხამეს როდრიგესმა გაათანაბრა. კოლუმბიელმა გაუტანა იმ გუნდს, ვისი საკუთრებაც არის.

დასკვნითი ნახევარი საათი ნერვული გამოდგა. ბაიერნი უტევდა, კეილორ ნავასი იგერიებდა. რეალმა „დაიჭირა“ ფრე და ზედიზედ მესამედ გავიდა ჩემპიონთა ლიგის ფინალში, ხოლო ბოლო 5 წელიწადში – მეოთხედ.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – კეილორ ნავასი

ორი კანდიდატი გვყავდა – ბენზემა და ნავასი. ფრანგმა თავდამსხმელმა იდეალურად გამოიყენა თავისი შანსი და დუბლი შეასრულა. თუმცა, ნავასს საუკეთესოობისთვის ბოლო ნახევარი საათიც ჰყოფნის. არც მანამდე იყო უსაქმოდ, მაგრამ დასკვნით ნაწილში მისი თამაშის დიდი დამსახურებაა, რომ რეალი ფინალში თამაშობს.

ზინედინ ზიდანი:

– ფეხბურთის სილამაზე სწორედ ისაა, როდესაც ყველაფერი კარგად მთავრდება. ჩვენ ვაგებდით, შემდეგ 2:1 დავწინაურდით, მოგვიანებით მეტოქემ ანგარიში გაათანაბრა და ყველაფერი შეიცვალა. მიუნხენელები ზეწოლას ახორციელებდნენ და ჩვენ პრობლემები დაგვეწყო. დაუჯერებლად მაღალი დონის გუნდს ვეთამაშეთ. იუვენტუსიც ასეთი მეტოქე იყო და პსჟ-ც. ძალიან მიხარია, რომ 3 ტოპ-გუნდი გამოვთიშეთ. კარიმის წარმატება მახარებს. ის ამას იმსახურებდა. ბენზემამ შედეგი დადო. კეილორ ნავასმა მეორე ტაიმში რამდენიმე ისეთი სეივი გააკეთა რომ... მას ბევრი სამუშაო ჰქონდა. ყველა ძალიან კმაყოფილი ვართ. მთლიანობაში გიჟური თამაში იყო, რომელიც კარგი საყურებელი გახლდათ. ფეხბურთში განსაცდელში ყოფნა გიწევს, განსაკუთრებით ჩემპიონთა ლიგაში. ვიცით, რომ ფინალში გასვლა განსაცდელის გარეშე წარმოუდგენელია და ეს კიდევ უფრო სასიამოვნოა. თუმცა, ეს ყველაფერი გულისთვის ძალიან სასარგებლო არაა. ჯერ არაფერი მოგვიგია. უბრალოდ, ფინალში გავედით. უჩვეულოა, როდესაც ზედიზედ სამჯერ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გადიხარ. თუმცა, ჩვენ კიდევ ერთხელ მოგებას უნდა ვეცადოთ. ტიტულის დასაცავად ყველაფერს გავაკეთებთ.

იუპ ჰაინკენსი:

– ორივე მატჩში რეალზე უკეთესები ვიყავით. გულწრფელად გეტყვით, რომ არც კი მახსოვს, ბაიერნმა ასე კარგად ბოლოს როდის ითამაშა. პირველ ტაიმში მსოფლიო დონის თამაში ვაჩვენეთ, მაგრამ უდიდესმა შეცდომამ ყველაფერს ხაზი გადაუსვა. პირველ ყოვლისა, უკან ასეთ პასი არ უნდა გაკეთებულიყო. განვლილ შეხვედრაში რეალში საუკეთესო კეილორ ნავასი იყო... პენალტი? როდესაც ყოველივეს შემდეგ ვიდეოგამეორება ვნახე, წესების დარღვევა იყო, მაგრამ წუწუნს არ ვაპირებ. რეალს ჩვენ მიერ არარეალიზებული იმდენი მომენტი ვაჩუქეთ, რომ მსაჯობაზე ჩივილს აზრი არ აქვს... მეორე გოლისას ულრაიხი დაიბნა, თავიდან მან არ იცოდა, ბურთის ხელში აღება შეეძლო თუ არა, შემდეგ მიხვდა, რომ არ შეეძლო, ანერვიულდა და მოხდა ის რაც მოხდა. ფეხბურთელისთვის მსგავსი რამის გადატანა საშინელებაა. ჩემი გუნდისთვის არასასიამოვნო მომენტი გახლდათ, მაგრამ გოლის გატანის ბევრი შანსი გვქონდა, ხოლო საერთო ჯამში მეკარემ კარგად ითამაშა.

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

1 მაისი

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲣᲔᲤᲐᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲚᲘ�გᲐ

რეალი-ბაიერნი	2:2

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ. ᲡᲔᲠᲘᲐ Ბ

აველინო-ჩიტადელა	0:2
ბრეშა-ფროზინონე	1:2
ვირტუსი-ასკოლი	1:1
კარპი-ემპოლი	0:0
კრემონეზე-ნოვარა	1:1
პარმა-ტერნანა	2:0
პესკარა-ჩეზენა	0:0
პრო ვერჩელი-ვენეცია	0:2
ფოჯა-სპეცია	2:1
პერუჯა-სალერნიტანა	1:1

საბურთალო გალიდერდა

საბურთალო-სამტრედია 1:0

თბილისი. მიხეილ მესხი

1:0 დიასამიძე (69)

საბურთალო: კუპატაძე, იაშვილი, მარგველაშვილი, რეხვიაშვილი, ნადარაია (ლაკვეხელიანი 62), გორგიაშვილი, თარხნიშვილი (ალთუნაშვილი 65), ვაგნერი, გვარაძე, დიასამიძე, ტატანაშვილი (გოშთელიანი 80)

სამტრედია: მიგინეიშვილი, დაუშვილი, კირკიტაძე, გი, ბაჩიაშვილი, ჩაჩუა, კერძევაძე, სანია, ქარქუზაშვილი, მესიაჩენკო (ერისთავი 73), ხაბეიშვილი (ქაშიბაძე 76)

დედაქალაქურმა საბურთალომ მეცხრე ტურის შეხვედრაში სამტრედიას უმასპინძლა და 69-ე წუთზე, გეგა დიასამიძის მიერ გატანილი გოლის წყალობით, 1:0 დაამარცხა. ამ მოგებით საბურთალომ 21 ქულა დააგროვა და, ჯერჯერობით, პირველ ადგილზეა.

რაც შეხება შეხვედრას: სამტრედიას ძირითადად აქცენტი კარის უსაფრთხოებაზე ჰქონდა გადატანილი და კონტრშეტევებით ცდილობდა ფონს გასვლას. თუმცა, საწყის წუთებზე საბურთალოს 2 მომენტი შეექმნა – ჯერ დიმიტრი ტატანაშვილი ურტყამდა შორი მანძილიდან და ბურთი ძელს მოხვდა. მალევე კი ბექა გვარაძემ გაისროლა საჯარიმოს გარედან და სამტრედიელთა მეკარე ომარ მიგინეიშვილმა კუთხურზე მოიგერია ბურთი. ამ სტანდარტულს კი გიორგი რეხვიაშვილის თავური მოჰყვა, ბურთი კი მცირედით ასცდა მოწინააღმდეგის კარს.

მეორე ტაიმში მოედანზე ვითარება არ შეცვლილა – იმერლები პერიოდულად სახიფათო კონტრშეტევებს ახორციელებდნენ, თბილისელები კი გოლის გატანას ცდილობდნენ. მეორე ნახევარში ტატანაშვილს ორჯერ შეეძლო გატანა, მაგრამ ერთ ეპიზოდში მეკარე მიგინეიშვილმა არ გაატანინა, მეორედ კი დარტყმა არ გამოუვიდა.

როგორც გითხრით, 69-ე წუთზე შეხვედრაში ერთადერთი გოლი გავიდა – გეგა დიასამიძემ საჯარიმოს გარედან მეკარისგან მარჯვენა დაბალ კუთხეში დაარტყა და გახსნა ანგარიში. დარჩენილ დროში სამტრედია ცდილობდა შეხვედრის გადარჩენას, მაგრამ კარის აღების რეალური საგოლე მომენტი არ შექმნია. საერთოდ, 540 წუთია იმერლებს მეტოქის კარში გოლი არ გაუტანიათ...

საბოლოოდ, საბურთალომ მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანა და მიმდინარე სეზონში მეშვიდე მოგებას მოუყარა თავი.

სიონი-ჩიხურა 0:2

თბილისი. მიხეილ მესხი 2

0:1 ბუღრიძე (11), 0:2 გაბედავა (41პ)

სიონი: მუჯრიშვილი, მინდორაშვილი, ნოზაძე, ქიქავა, ხმალაძე, ბერიაშვილი (დვალი 63), მანაგაძე (უგულავა 46), სამუშია (გაფრინდაშვილი 56), სიხარულია, გ. გიორბელიძე

ჩიხურა: ჰამზიჩი, ჩიტეიშვილი, მარკოზაშვილი, მაისაშვილი, გაბედავა, ლეკვთაძე (ბუხაიძე 76), ბუღრიძე (კახაბრიშვილი 66), კაკუბავა, ჩიკვაიძე, მეგრელიშვილი, დობროვოლსკი

სამსონ ფრუიძე და საჩხერის ჩიხურა მშვენიერ ფეხბურთს თამაშობენ და თამაშს თამაშზე იგებენ. ბოლნისის სიონთან მათი მოგება, თითქოს, გასაკვირიც არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩიხურამ ისე მოიგო, რომ პრობლემები არ შექმნია. ორგანიზებული, გააზრებული და შემტევი თამაშით იოლად წაიღო 3 ქულა.

ანგარიში მალევე გაიხსნა: ირაკლი ბუღრიძემ მასპინძელთა შეტევა ჩაჭრა, ბურთი გიორგი გაბედავასთან გაითამაშა და კომბინაცია გოლით დაასრულა. შემდეგ თავად გაბედავას ჯერი დადგა – ჩიხურას ფორვარდი საჯარიმოში წააქციეს და პენალტი თავადვე აქცია გოლად.

მე-2 ტაიმშიც იგივე სცენარი განვითარდა. სიონი ოდნავ უკეთ ათამაშდა, მაგრამ მხოლოდ საჩხერელთა საჯარიმომდე – მეტ წინსვლას და ხიფათის შექმნას ვერ ახერხებდნენ. ჩიხურა უფრო კონტრშეტევებით დაკავდა, მაგრამ გაცილებით მწვავედ იჩხვლიტებოდნენ. გოლის გატანა შეეძლო გიორგი ბუხაიძეს, თუმცა, ხარიხას გაარტყა ბურთი.

ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ-ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ 1:1

ზესტაფონი. დავით აბაშიძე 0:1 კუხიანიძე (19პ), 1:1 იმნაძე (60)

კოლხეთი: პოლტავცევი, გ.კილასონია, მახარაძე, გოგონაია, პონომარიოვი, მიხალიოვი, ჯიმშელეიშვილი, არზიანი (ტყემალაძე 87), გოგბერაშვილი (კვასოვი 82), კახელიშვილი, კვერნაძე (იმნაძე 57)

ტორპედო: კვასხვაძე, ტაბატაძე, ხურცილავა, გიორგი გურული, ქიმაძე, მამასახლისი, კუხიანიძე, დოლიძე (ბოხაშვილი 80), ლიპარტია (კაპანაძე 62), წიქარიძე (კუჭუხიძე 68), კუტალია

ქუთაისის ტორპედომ სეზონში პირველი ფრე ითამაშა, მაგრამ – დაუგეგმავი. იმერლები ზესტაფონში 3 ქულისთვის ესტუმრნენ ფოთის კოლხეთს, ჰქონდათ კიდეც ამის შანსი, მაგრამ საბოლოოდ ქულასღა გამორჩნენ.

ანგარიში მე-19 წუთზე გაიხსნა: ფოთელებმა საჯარიმოში თენგო წიქარიძე წააქციეს და პენალტი გიორგი კუხიანიძემ ტექნიკურად შეასრულა – 0:1.

ტორპედოს კიდევ რამდენიმე მომენტი ჰქონდა და მეორე გოლის გატანაც მართებდა, მაგრამ ბურთი კარში არ შედიოდა. ვერ გამოიყენა ტორპედომ თავისი შანსი და დაისაჯა კიდეც: მე-60 წუთზე კუთხურის შემდეგ ქუთაისელთა საჯარიმოში შექმნილი არეულობით შეცვლაზე 3 წუთის შესულმა ლუკა იმნაძემ ისარგებლა – 1:1.

ᲡᲐᲢᲣᲩᲜᲘᲗᲘ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:

1.საბურთალო	9	7	0	2	17-6	21
2.დინამო	8	6	0	2	18-8	18
3.ჩიხურა	9	5	3	1	15-6	18
4.დილა	8	4	3	1	15-10	15
5.ტორპედო	9	4	1	4	12-9	13
6.რუსთავი	8	3	2	3	8-7	11
7.კოლხეთი	9	2	2	5	9-21	8
8.სიონი	9	2	1	6	7-16	7
9.სამტრედია	9	1	3	5	3-9	6
10.ლოკომოტივი	8	1	1	6	8-20	4

ბარსელონა და ფაქტები მიმდინარე სეზონში

2017-18 წლის სეზონი ბარსელონამ ლა ლიგისა და სამეფო თასის მოგებით დაასრულა. თუმცა, ეს სეზონი კატალონიელებისთვის იმითაც იყო გამორჩეული, რომ გუნდმაც და ფეხბურთელებმაც რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი დააფიქსირეს.

1. წაუგებელი სერია

ბარსამ ლა ლიგაში ზედიზედ 41 წაუგებელი სერია ჩაატარა, თანაც, ამ სეზონში, 4 მატჩი ჯერ კიდევ წინაა. ამ შედეგით, გუნდმა სოსიედადის მიერ 1979-80 წლებში დამყარებული რეკორდი გააუმჯობესა.

2. საუკეთესო დასაწყისი

2017-18 წლების სეზონის სტარტი ბარსელონას ისტორიაში საუკეთესო იყო. თუმცა, ეს „სტარტი“ ჯერ არ დასრულებულა და, შესაძლოა, ეს არც მოხდეს, თუ კატალონიელებმა დარჩენილ ტურებში არ წააგეს. ერნესტო ვალვერდემ საწყისი 34 მატჩი მოიგო ან ფრედ დაასრულა. აქამდე საუკეთესო შედეგი პეპ გვარდიოლას ეკუთვნოდა – 31 შეხვედრა.

3. ძელი

არც ერთი გუნდის ფეხბურთელებს იმდენჯერ არ გაურტყამთ ბურთი ძელის და ხარიხისთვის, რამდენჯერაც ეს ბარსელონას მოთამაშეებმა მოახერხეს. სხვებისგან განსხვავებით, ეს რეკორდი არც ისე სასიამოვნოა, მაგრამ ფაქტია, რომ კატალონიელებისთვის ამას განსაკუთრებით დიდი პრობლემა არ შეუქმნია.

4. შემობრუნება

ბარსამ მიმდინარე სეზონში 9 ისეთ შეხვედრაში მოახერხა მინიმუმ ქულის მოპოვება, რომელსაც აგებდა. 5 შემთხვევაში ფრე დაფიქსირდა, 4-ჯერ კი „ბლაუგრანამ“ გაიმარჯვა.

5. გამარჯვება ბერნაბეუზე

პირველი წრის ბოლოს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მადრიდის რეალის დამარცხება სეზონის ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო მომენტი იყო. თანაც, ეს რეალის მოედანზე ზედიზედ მესამე გამარჯვება იყო, ასეთი შედეგი კი აქამდე არ დაფიქსირებულა.

6. „ანოეტას წყევლის“ დაძლევა

მიუხედავად იმისა, რომ 0:2-ს აგებდა, ბარსამ „ანოეტაზე“ გუნდისთვის ყველაზე უხერხული მეტოქე, სოსიედადი ორბურთიანი სხვაობით დაამარცხა. 11 წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც კატალონიელებმა ბასკური ქალაქიდან 3 ქულის წამოღება შეძლეს.

7. გაუვალი დაცვა

მეკარის და მცველების დამსახურებით, ბარსელონამ ლა ლიგის საწყის 10 ტურში მხოლოდ 3 გოლი გაუშვა, რაც სარეკორდო მაჩვენებელია. სულ გუნდმა 21 გოლი მიიღო, მაგრამ ეს საუკეთესო შედეგი არაა: მადრიდის ატლეტიკომ ამაზე 3-ით ნაკლები გოლი გაუშვა.

8. შეუჩერებელი ლეო მესი

არგენტინელმა ერთი კლუბის მაისურით გატანილი გოლების რაოდენობით გერდ მიულერს აჯობა. ამასთან ერთად, მან ლა ლიგაში 36-ე გუნდის კარში გაიტანა და რაულ გონსალესის მიღწევა გააუმჯობესა.

9. ელ პისტოლერო

„ლა როსალედაზე“, მალაგას კარში გატანილი გოლის წყალობით, სუარესს უკვე ყველა იმ ესპანური გუნდის კარი აქვს აღებული, რომლის წინააღმდეგაც უთამაშია.

10. ბარსელონას თილისმა

მარკ ტერ შტეგენი – ფეხბურთელი, რომელმაც ყველა იმ თამაშში მიიღო მონაწილეობა, რომლის საშუალებითაც გუნდმა წაუგებელი მატჩების მხრივ რეკორდი დაამყარა. ასე რომ, ეს მიღწევა, განსაკუთრებით, გერმანელი მეკარის დამსახურებაა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კიმ ჩენ ინის ლაპშამ სამხრეთკორეელები გადარია

სამხრეთკორეელები ცივი ლაპშა ნენმიონით მას შემდეგ დაინტერესდნენ, როდესაც ცნობილი გახდა, რომ მას სადილზე მიართმევდნენ ჩრდილოეთ კორეის ლიდერ კიმ ჩენ ინს და მის სამხრეთკორეელ კოლეგა მუნ ჩჟე ინს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სეულის მცხოვრებლებმა სასადილო შესვენების დროს რესტორნები ჩრდილოკორეულ სტილში შეავსეს, რომლებშიც ლაპშა ნენმიონი მზადდებოდა.

– დღეს ჩვენთან კლიენტების უჩვეულო სიმრავლეა და ეს სამიტის წყალობით მოხდა. ჩვეულებრივ ჩვენთან ხალხის ასეთი მოზღვავება მხოლოდ ზაფხულშია, – განაცხადა ერთ-ერთი რესტორნის თანამშრომელმა. სხვა რესტორნის თანამშრომელმა დაამატა, რომ მომხმარებლების რაოდენობა სულ უფრო იზრდებოდა, იმის მიუხედავად, რომ ახლომდებარე ავტოსადგომებზე ყველა ადგილი დაკავებული იყო.

სამიტის დაწყების წინ, კიმ ჩენ ინმა განაცხადა, რომ თავის კოლეგას ფხენიანური წიწიბურას ლაპშა ჩამოუტანა და მოხარული იქნებოდა, თუ ის მას საღამოს ბანკეტზე დააგემოვნებდა.

ნენმიონი – ცივი წიწიბურას ლაპშაა, წყალზე მომზადებული სოიოს სოუსითა და მდოგვით შეზავებული, რომელიც სუფრაზე მიაქვთ კვერცხით, ბოსტნეულით და მოხრაკული ხორცით (როგორც წესი, საქონლის).

ბრიტანელებს ტოქსიკური მუხლუხოები უტევენ

დიდ ბრიტანეთში მუხის ხის პეპლების შემოსევა დაიწყო, რომლის ჭუპრები მეტად ტოქსიკურები არიან.

სახიფათო მუხლუხოები ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში შენიშნეს და მათი რაოდენობა იზრდება. ტოქსინები, რომლებსაც მათი ბეწვის საფარველი შეიცავს, ადამიანებში თავბრუსხვევას, ციებცხელებას, თვალების და ყელის გაღიზიანებას იწვევს, ასევე კანზე გამონაყარს და ასთმურ შეტევებს.

დიდი ბრიტანეთის ტყის მეურნეობის კომისია ქვეყნის მცხოვრებლებს, რომლებიც მუხლუხოებს შენიშნავენ, სთხოვს, მათ არ მიუახლოვდნენ და დაუყოვნებლივ აცნობონ კომისიას იმ ადგილის შესახებ, სადაც ეს მავნებლები შენიშნეს.

2017 წელს ბრიტანული მუხის ხის მუხლუხოები დაასნებოვნა „ზომბი-ვირუსმა“: ინფექციამ მწერები აიძულა სინათლეზე გამოსულიყვნენ, დასნებოვნებული ჭუპრები სწრაფად იღუპებოდნენ, ხოლო მათი სხეული ფეთქდებოდა, რამაც ვირუსის გავრცელებას შეუწყო ხელი.

ჩვეულებრივ, ამ სახეობის ჭუპრები ჩრდილში ყოფნას ამჯობინებენ, რათა ისინი ჩიტებმა ვერ შენიშნონ, მაგრამ ინფექციამ მათი ქცევა შეცვალა. სპეციალისტებმა ეს ზომბებზე გადაღებულ ფილმებს შეადარეს.

96 წლის ომის ვეტერანმა უნივერსიტეტის დიპლომი მიიღო

ამერიკის ოჰაიოს შტატის ქალაქ ტოლედოში მეორე მსოფლიო ომის ვეტერანმა უნივერსიტეტის დიპლომი მიიღო, რომელში სწავლაც 68 წლის წინ მიატოვა.

1950 წელს აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების პილოტმა ბობ ბარგერმა ტოლედოს უნივერსიტეტში ჩააბარა. სამი წლის შემდეგ მან მეცადინეობებზე სიარულს თავი დაანება, ვინაიდან სამსახურისა და ოჯახის გამო მას სწავლისთვის დრო აღარ რჩებოდა. რამდენიმე წლის წინ ამის თაობაზე ცნობილი გახდა უნივერსიტეტის თანამშრომლისთვის, რომელმაც ვეტერანი გაიცნო. მან არქივში გაარკვია, რომ ბარგერის მიერ გავლილი კურსები მას იმ დიპლომის აღების უფლებას აძლევდა, რომელსაც სტუდენტები ორი წლის სწავლის შემდეგ იღებენ. 1950 წელს, როდესაც ვეტერანმა სწავლა მიატოვა, ასეთი დიპლომი ჯერ არ არსებობდა.

96 წლის ამერიკელი ტოლედოს უნივერსიტეტის ყველაზე ხანდაზმული კურსდამთავრებული გახდა.

– მე ასეთ რამეზე არც კი მიოცნებია, – განაცხადა ბარგერმა. აღსანიშნავია, რომ მან უკვე მოამზადა ათეულობით ბოთლი არაყი, ვისკი და სკოჩი ხანდაზმულთა სახლში გამოსაშვები საღამოს მოსაწყობად, რომელზეც ასზე მეტი ადამიანია მიპატიჟებული.

უზარმაზარმა გასაბერმა იხვმა ქალაქის ქუჩებში გაისეირნა



ამერიკის აიოვას შტატის ქალაქ დე-მოინში ადგილზე დაბმული დიდი გასაბერი მზისსათვალეებიანი იხვი მოწყდა და ქუჩაზე დაეშვა.

რეზინის იხვი, რომელიც სარეკლამო სააგენტოს მახლობლად იყო დადგმული, ქარმა მოწყვიტა ადგილიდან, ის გზის სავალ ნაწილზე აღმოჩნდა და ნელ-ნელა გაგორდა ქუჩაში მოძრავ ავტომობილებს შორის. მან სულ ორი კვარტალის გავლა მოასწრო.

იხვი საქველმოქმედო ღონისძიების რეკლამისთვის იყო განკუთვნილი, რომელსაც სარეკლამო სააგენტო ამზადებს და მზრუნველობას მოკლებული ბავშვების დასახმარებლადაა გამიზნული. 5 მაისისთვის ის 37 ათასი რეზინის იხვის მონაწილეობით რბოლის გამართვას და ამით შემოწირულობის სახით 250 ათასი დოლარის მიღებას გეგმავს.

გასაბერი იხვი მალევე იპოვეს და თავის ადგილზე დააბრუნეს.

– მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ იხვი თავის ბუდეში დაბრუნდა. მას არაფერი ემუქრება, ის შესანიშნავად გამოიყურება, – განაცხადა სარეკლამო სააგენტოს ხელმძღვანელმა სტივენ კვირკმა.

შიშველი ამერიკელები გამოქვაბულებში ჩავლენ

შიშვლების საერთაშორისო დღეს აშშ-ის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ გამოქვაბულში ნუდისტებისთვის სპელეოლოგიური ექსკურსია მოეწყობა.

ღონისძიება ჰოუს გამოქვაბულებში გაიმართება, რომლებიც ნიუ-იორკის შტატის ყველაზე მნიშვნელოვან ტურისტულ ღირსშესანიშნაობადაა მიჩნეული. ორგანიზატორები მსურველებს ფანრების სინათლეზე თავისუფალ მშვიდ გასეირნებას პირდებიან. ექსკურსიაზე დაუშვებელი იქნება ტანსაცმლის წაღება, თუმცა ფეხსაცმელი ყველასთვის სავალდებულო იქნება. გარდა ამისა, კონფიდენციალურობის დაცვისთვის ექსკურსიის დროს ფოტოაპარატების გამოყენება აკრძალული იქნება.

ამერიკულმა პრესამ ექსკურსიას ნუდისტებისთვის მას შემდეგ მიაქცია ყურადღება, რაც მისით პოპულარული რეალიტი-შოუს „შიშვლები და შეშინებულები“ მონაწილე სარა დანსერი დაინტერესდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

რობერტ კობლიაშვილი ევროპის ჩემპიონია

საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრი რობერტ კობლიაშვილი (87 კგ) ევროპის ჩემპიონია, ხოლო ნუგზარ წურწუმია (55 კგ) და იაკობ ქაჯაია (130 კგ) ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ.

რუსეთის ქალაქ კასპიისკში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 10 წონითი კატეგორიიდან 5-ში შეივსო საპრიზო სამეულები. საქართველოს ნაკრებს მონაწილე ხუთივე წონაში ჰყავდა, როგორც უკვე ვთქვით, 3 მათგანი კვარცხლბეკზე ავიდა.

კობლიაშვილმა ფინალის გზაზე სამი მეტოქე ჩამოიშორა: ბულგარეთის ნაკრების წევრი ტარეკ მოჰამედი (5:1), შვედი ზაქარიას ბერგი (2:1) და ბელარუსი



ნიკიტა კლიმოვიჩი (8:0). საჩემპიონო ბრძოლაში კი რუსეთის წარმომადგენელ ბეკხან ოზდოევს აჯობა – 3:2.

წურწუმია საქმეში მეოთხედფინალიდან ჩაება და მედალი ისე აიღო, რომ ბრძოლა არ მოუგია. ევროპირველობის დებიუტანტმა აზერბაიჯანელ ელდანიზ აზიზლისთან 0:9 წააგო და პირდაპირ რეპეშაჟის ფინალში გადაერთო, რუსეთის ნაკრების წევრ ვასილ ტოპოევს დაძაბულ ბრძოლაში მომგებიანი ფრით (6:6) აჯობა და ევროდებიუტი ბრინჯაოთი აღნიშნა.

ქაჯაიას კი ოქროს მედლისკენ მიმავალი გზა ნახევარფინალში ჩაეკეტა, რუს ვიტალი შურთან წაგებით (4:5). იქამდე ქართველმა მძიმეწონოსანმა ესპანელი ხუან მენა (8:0) და უკრაინელი ვლადისლავ ვორონი (9:0) დაჩაგრა. ბრინჯაოს მედლისთვის ქაჯაია ბულგარელ მიროსლავ მეტოდიევს დაუპირისპირდა და 5 უპასუხო ქულა აუღო.

თორნიკე ძამაშვილს (77 კგ) საპრიზო სამეულამდე ერთი გამარჯვება დააკლდა. პირველ შეხვედრაში თურქ სერხან აკოიუნს სძლია (7:5). შემდეგ კი, ოლიმპიურ, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს, რუს რომან ვლასოვს გადაეყარა და 0:4 წააგო. ვლასოვი ფინალში გავიდა და ქართველი მოჭიდავე რეპეშაჟში გადაერთო, სადაც მოლდოველი იგორ ბასლეაგა კი ჩამოიშორა, მაგრამ მესამე ადგილისთვის ბრძოლაში აზერბაიჯანელ ელვინ მურსალიევთან 2:6 დამარცხდა და საბოლოოდ მეხუთე ადგილს დასჯერდა.

ლევან ქავჟარაძე (63 კგ) ევროპირველობას მეოთხედფინალიდან გამოეთიშა, რუს ზაურ კაბალოევთან წაგებით (4:12). იქამდე ქართველმა მოჭიდავემ აზერბაიჯანელი ტალეჰ მამადოვი გამოთიშა შეჯიბრებას (4:0).

ევროპის ჩემპიონ-პრიზიორები დარჩენილ ხუთ წონით კატეგორიაში: 60, 67, 72, 82 და 97 კილოგრამებში გამოვლინდებიან. წინასწარი და ნახევარფინალური ეტაპის შეხვედრები უკვე გაიმართა და 5 ქართველიდან ფინალური ბლოკის საგზური სამმა მოიპოვა.

შმაგი ბოლქვაძე (67 კგ) ევროპის ჩემპიონატის ფინალში გავიდა, სადაც რუსეთის ნაკრების წევრ არტიომ სურკოვს დაუპირისპირდება. დავით ჩხარტიშვილი (60 კგ) და იური ლომაძე (72 კგ) კი რეპეშაჟის ფინალში იჭიდავებენ.

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

ასტროპროგნოზი

3 მაისისათვის

ფერძი – საქმიანი პარტნიორის ბრმა ნდობამ შესაძლოა მატერიალურად დაგაზარალოთ. მიღებული ინფორმაცია აუცილებლად სათანადოდ გადაამოწმეთ. **კურო** – კოლექტიურ საქმიანობას ვარსკვლავები არ გირჩევენ. უმჯობესია, თუ გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად მიიღებთ. **ტყუპები** – დღის პირველი ნახევარი კეთილისმყოფელია მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად. წინდახედულობა გმართებთ. **კირჩხიბი** – გეგმები რადიკალურად გეცვლებათ. აქტიურობა და კოლექტიური მუშაობა გაუმართლებელია. **ლომი** – პარტნიორზე მცდარი წარმოდგენა პრობლემებს შეგიქმნით. ფინანსებს გაუფრთხილდით, მხოლოდ აუცილებელი ნივთი შეიძინეთ. **ქალწული** – ფინანსური მდგომარეობა არასტაბილურია. ახალი საქმის დასაწყებად შეუფერებელი დღეა. **სასწორი** – დღეს მიიღებთ იმას, რაზეც ადრე ოცნებობდით. ყოველმხრივ წარმატებული და კეთილისმყოფელი პერიოდია. **ღრიანკალი** – შანსი გამოიყენეთ და ფორტუნა გაგიღიმებთ. ძალები სწორად გაანაწილეთ. **მშვილდოსანი** – დაწყებული საქმე აუცილებლად განაგრძეთ. ერიდეთ ხმაურიან ადგილებს. **თხის რქა** – ემოციური აღმავლობის დღეა. შთაგონება გეწვევათ, თუმცა სამსახურში უსიამოვნების ალბათობა დიდია. **მერწყული** – ნუ იაქტიურებთ. ენერგია სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საქმეებისთვის დაზოგეთ. დღეს თავს დასვენებისა და გართობის უფლება მიეცით. **თევზები** – ემოციები მოთოკეთ. გადაწყვეტილებას ცხელ გულზე ნუ მიიღებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. მოდუღებული ყურძნის წვენი; 2. ფრანგული საავტომობილო კომპანია; 3. ქართველი მხატვარი ქალი; 4. წვრილმანებით ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში; 5. ბრილიანტის თითოეული გვერდი; 8. მოდუღების სააგენტო თბილისში; 9. ისტორიული ციხე-ქალაქი ჰერეთში; 12. ზღვაში წვეტად შეჭრილი ხმელეთის ნაწილი; 14. მდინარე სვანეთში; 16. ავო, ანჩხლი დედაკაცი.

თარაზულად: 1. აეროპორტი კიევში; 6. პირველი გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის სახელწოდება; 7. ჭაობიანი ნიადაგის ამოშრობის ერთ-ერთი მეთოდი; 9. მარწყვის ერთ-ერთი სახეობა; 10. ებრაული ბიბლიის სახელწოდება; 11. მოყვარული მოტოციკლეტისტი; 13. მომღერალი მუსიკოსი შუა-აზიაში; 15. მაიმუნის ერთ-ერთი სახეობა; 17. აზოვის ზღვის ძველი სახელწოდება; 18. ქალაქი-მუზეუმი საქართველოში; 19. ამერიკული ავია-კოსმოსური კონცერნი; 20. ჰოლანდიური ელექტროტექნიკური კომპანია.

შეადგინა თ.ფოფინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ქიმერა; 2. ხირსა; 3. „ილიადა“; 4. უჯარმა; 6. შტრაუსი; 9. კრონა; 11. ციპრასი; 15. რეგისტანი; 16. კაბურა; 17. მუჰამედი; 19. ურუგვაი; 21. გაბროვო; 22. ანიონი.

თარაზულად: 5. ჰიდრანტი; 7. ტრამვაი; 8. კალაძე; 10. არიფანა; 12. მელუა; 13. რკინა; 14. მონორელსი; 18. ჩორსუ; 20. ფატუმი; 23. უნისეი; 24. ბეკი; 25. სურამი; 26. „ნანა“; 27. სვანეთი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. „პობედა“; 2. წუღა; 3. შემოქმედი; 4. აგუნა; 5. მამფალი; 8. როდენი; 9. მინანქარი; 12. მუჟუჟი; 14. ოაზისი; 16. ილორი.

თარაზულად: 1. პეტრიწონი; 6. ლეთარგია; 7. ბაირაღი; 9. მადონა; 10. ცანა; 11. ჟენშენი; 13. გნოლი; 15. ტუნისი; 17. ყირმიზი; 18. ჟუდეცი; 19. „ფაუსტი“; 20. მიტინგი.

გიო ხუციშვილს ვარსკვლავს გაუხსნიან



მომღერალ გიო ხუციშვილს 29 მაისს დიდი საკონცერტო დარბაზის წინ ვარსკვლავს გაუხსნიან.

კონცერტისთვის აქტიური მზადება უკვე მიმდინარეობს. შემოქმედებით საღამოში გიო ხუციშვილთან ერთად მონაწილეობას მისი მეგობარი კოლეგებიც მიიღებენ.

დიდ საკონცერტო დარბაზში მისული მსმენელისთვის იმღერებენ მაია ჯორჯაძე, ნატო გელაშვილი, ლელა წურწუმია, ლიზა ბაგრატიონი, მაია ჯაბუა, თამრიკო ჭოხონელიძე, ეკა კახიანი, რუსა მორჩილაძე, ნუკრი კაპანაძე, ეკა ჭაჭიაშვილი, მერაბ სეფაშვილი, თემურ თათარაშვილი, დავით გომართელი, დათუნა სირბილაძე, დავით ევგენიძე, ზუკა და ნოდარ ხუციშვილები და ანსამბლი „ფორტე“.

ტონი ომეილი ქართულად ამღერდა

ცნობილი ბრიტანელი მომღერალი ტონი ომეილი ქართულად ამღერდა. მას ისე მოეწონა კომპოზიტორ ზურაბ მჟავიას სიმღერა „ქართველების ერთად ყოფნა დამილოცე ღმერთო“, რომ სიმღერა თავისი ინტერპრეტაციით როიალის თანხლებით შეასრულა და ინტერნეტში გაავრცელა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ვიდეომ დიდი მოწონება დაიმსახურა და ტონი ომეილი არა მარტო ქართველმა, არამედ უცხოელმა მსმენელმაც შეაქო.

მაია დარსმელიძის შეთავაზება ტელევიზიებს

მომღერალი მაია დარსმელიძე ტელევიზიებს ინიციატივას სთავაზობს:

– გინდა კავკასიამ თავის კუხნაში, გინდა ობიექტივმა, გააკეთეთ მუსიკალური გადაცემა, მოვალ უხელფასოდ, ჩემი ხელით მიშპაკლული მაკიაჟით, ბანძ განათებაში, სუუუუ ბოლო ყ..ობაც რომ იყოს გამოსახულება, მკიდია, მოსულა. გახმოვანებაზე მოგიწევთ დახარჯვა მხოლოდ.

შეგიკრიბავთ ისეთ კომპეტენტურ სასტავს, რომელიც გააკეთებს იმ დედაარღნიან საქმეს, რომელიც ძალიან ბევრს დაძაბავს და გამოაფხიზლებს. არ გინდათ?

მანანა აბრამიშვილი მთავრობას აკრიტიკებს

რუსთაველის თეატრის მსახიობი მანანა აბრამიშვილი მთავრობას აკრიტიკებს და არ მალავს, რომ ყველა დროის მთავრობა მისთვის დამღლელია:

– როგორ დაგვღალა და მოგვაბეზრა თავი ყველა დროის მთავრობამ! ძველმაც, ახალმაც, უფრო ძველმაც, არსებულმაც! არ შეიძლება, მთავრობა საერთოდ რომ არ გვყავდეს?! რაც ცოცხალი ვარ, ჯერ არცერთი მთავრობა არ ყოფილა ნაღდი და პასუხისმგებელი იმისა, რაც დაპირება აქვთ თავში.

ძალიან მომბეზრდა რაა... დიდი ტყუილი! დიდი ტყუილია ყველანაირი მთავრობა! ჩანს უკვე კარგად ჩვენი მომავალი.

მალე საქართველო და ქართველები აღარ იქნება! აღბათ ეს ჯერ კიდევ ედიკას დროიდან დაიწყო და დღემდე მოდის! სულ ცოტა დარჩა და... მიმხვედრი გააგრძელებს.

მიხეილ ზაქარიაშვილი მარინა ბერიძის წინააღმდეგ

მომღერალი მიხეილ ზაქარიაშვილი მარინა ბერიძეს უპირისპირდება და აცხადებს, რომ არც ბოღმა და არც შური არ ამოძრავებს:

– იცით რა მაინტერესებს? ადამიანები, რომლებიც მთელი ცხოვრება მღერიან თუნდაც ბარებსა და რესტორნებში, არ აქვთ შანსი, რომ გამოჩნდნენ ტელეეკრანებზე? ბევრი კონკურსანტი დაიწუნეს იმიტომ, რომ კარგად მღერიან, მაგრამ არ არიან დამწყები ბავშვები.

ნუთუ მათგან საუკეთესოებს არ უნდა მიეცეთ უფლება, რომ საკუთარი თავები გააცნონ ფართო მასებს? ნუთუ არ უნდა გაკეთდეს შოუ, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ეს ხალხი? განწირულები არიან, რომ მარინა ბერიძეს თუ არ მოეწონება, სახლში ჯდომა მოუწევთ მთელი ცხოვრება? თანაც ამაყად აცხადებს: ,,ჩემზე არ მოქმედებს კრიტიკაო“ და უშნოდ გადაიჭიხვინებს! მერე კრიტიკა რომ არ გაინტერესებს მარინა, ეს არის შენს და ჩვენს თავს დიდი უბედურება. თაობებს ღუპავ, არ აცნობ უნიჭიერეს ხალხს საზოგადოებას. პირადად მე ბევრს ვიცნობ ასეთებს, იმიტომაც დაღუპე საესტრადო საასიმღერო ხელოვნება!

ის, რომ ავადმყოფები გამოგყავთ და ხალხის დასაცინად ხდით, არ არის სწორი რეიტინგის აწევა ამ ხერხებით ეს სამარცხვინო! ანდა ბავშვებს ფსიქიკას რომ უმახინჯებს ,,შეუცვლელი“ მარინა ეს ნორმალურია?! რუსთავი ორი, იფიქრე ამ თემაზე, ნუ გააფლანგვინებს რეიტინგს თუნდაც ახლობელ ადამიანებს თუ მართლა ცდილობ ქართული სიმღერის აღორძინებაზე....

ახლა მოგახსენებთ ჩემს ნაკლებკომპეტენტურ აზრს შოუ-ბიზნესის ვარსკვლავებთან შედარებით! მე ვფიქრობ, რომ ეს კონკურსი „მხოლოდ ქართული“, სამწუხაროდ, ჩაფლავდა, არადა დამერწმუნეთ, როცა გავიგე, რომ ეს კონკურსი მზადდებოდა, ძალიან ბედნიერი ვიყავი. მიხაროდა.

იდეა არის დაგვიანებული, მაგრამ მაინც ძალზე მნიშვნელოვანი ქართული სიმღერის კულტურის განვითარებისთვის ეს დღესაც გამოჩნდა, რომ სამწუხაროდ, ქართულ სიმღერას გადაჩვეულები არიან ბავშვები, რომ არ მცოდნოდა, რა კონკურსანტები გამოუშვეს შესარჩევ ტურებში, არ დავწერდი ამას, რასაც ეხლა დავწერ, თავადაც გრძნობს მარინა, რომ მისი სასიმღერო გემოვნება და მისი კომპეტენტურობა ამ საქმეში ბევრ კითხვის ნიშნებს ტოვებს და ის მაღალი ნიშნებიც, რომლებსაც ახლა წერს, არ უშველის ამ კონკურსანტებს და მის პრესტიჟს!

იმას, რაც ახლა ხდება სცენაზე, გარკვეულწილად მისი და რუსთავი ორის დამსახურებაა. ჯერ გადააჩვიეს ყოველგვარ ქართულს მსმენელიც და მომღერალი ბავშვებიც და ახლა უნდათ, ქართულად იმღერონ სცენის ვარსკვლავების მიერ მრავალგზის გადამღერებული სიმღერები?

და ერთსაც გეტყვით, ჯობდა, ის კონკურსანტები დაეტოვებინა, რომლებიც გაცილებით უკეთ მღეროდნენ შესარჩევ ტურებში, ვიდრე უსმენო, უსცენო ბავშვები. ამას იმიტომ აკეთებს მარინა, რომ თქვას, ჩემი გაზრდილები არიანო. ამ სფეროში გაუთვითცნობიერებისთვის ვამბობ, არ შეიძლება ერთ კვირაში ან ერთ თვეში, ან თუნდაც ერთ წელიწადში სიმღერა ასწავლო ისე, რომ სცენაზე გამოუშვა და გაიმარჯვოს კონკურსში, თუ თავად არ აქვს ასეთი მონაცემები ბუნებრივად. გამორიცხულია, სულ ტყუილად იბრალებს, რომ მისი მეცადინეობით იზრდებიან კონცერტიდან კონცერტამდე ბავშვები, ეს ტყუილია, თუ ინგლისურენოვანი სიმღერებით გამოძრომას ახერხებდა მარინა და დანი მისნი, ქართულში ეს არ გამოუვა. კონკურსანტის გაზრდა, რომელსაც სმენა ღალატობს, გამორიცხულია! მე მაინც სურვილს გამოვთქვამ, რომ ეს კონკურსი გაგრძელდეს და მარინა ბერიძე ჩამოშორდეს კონკურსანტების არჩევას, დაჯდეს ჟიურის წევრად და ლანძღოს ჯობია, ვიდრე მან აარჩიოს კონკურსანტები!

რაც შეეხება უშიკიშვილს და ნიჟარაძეს, დარწმუნებული ვარ, ისინი ვერაფერს გახდებოდნენ მარინასთან, თორემ საუკეთესო კონკურსანტებს აარჩევდნენ და საერთოდ არ მეპარება მათ კომპეტენტურობაში ეჭვი! წარმატებები ყველას, მე ეს კონკურსი ამ ეტაპისთვის აღარ მაინტერესებს!

თანაც გადამღერებული სიმღერებით ბავშვების შეფასება ძნელია. ასეთი კონკურსებისთვის უნდა იწერებოდეს ახალი სიმღერები, ეს საინტერესო იქნებოდა კონკურსანტებისთვისაც და ხალხისთვისაც.

თუ ზოგიერთებს ჰგონია, რომ მე ვინმეს ბოღმა ან შური მალაპარაკებს, როცა ვაკრიტიკებ რაიმე მოვლენას ხელოვნების დარგში შოუს მუსიკოსს ან კონცერტს, ძალიან ცდება. ღმერთმა დამიფაროს, რომ ვინმესთვის ცუდი მინდოდეს, თუ ვტყუი, ღმერთმა დამსაჯოს... უბრალოდ მე მიყვარს ჩემი საქმე, ჩემი კოლეგები, პატივს ვცემ ჩემს პროფესიას და მიყვარს შოუები, სადაც ქართულს ექცევა დიდი ყურადღება. ძალიან განვიცდი, როცა არ გამოდის რამე ვიღაც მოუშორებელი ახალგაზრდების დამბლოკავი ცინიკოსი დედაკაცის ხუშტურების გამო!

რაც შეეხება შოუებს, ზოგჯერ გამოვა, ზოგჯერ ნაკლებად, მაგრამ არამც და არამც არ უნდა გაჩერდეს ეს პროექტი ,,მხოლოდ ქართული“, უნდა გაგრძელდეს. უბრალოდ გაითვალისწინეთ კომპეტენტური ადამიანების რჩევები, უკვე დიდები ხართ, გაარჩიეთ შეურაცხყოფა კრიტიკისგან და ყველაფერი გამოვა....

ქართველი რესტავრატორები პოლონეთში დაცული ქართული ხელნაწერების სარესტავრაციო გეგმაზე მუშაობენ

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის რესტავრატორები კრაკოვის ეროვნული მუზეუმის თავადი ჩარტორისკების ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერების დაზიანების ხარისხს სწავლობენ, რის შემდეგაც სარესტავრაციო მეთოდიკასა და გეგმას შეადგენენ.

ქართველი რესტავრატორები პოლონეთში კრაკოვის ეროვნული მუზეუმის, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსა და საქართველოს ეროვნული არქივის შეთანხმების საფუძველზე იმყოფებიან, რათა ქართულ ხელნაწერთა სარესტავრაციო და საკონსერვაციო საჭიროებები განსაზღვრონ.

ჩარტორისკების ბიბლიოთეკაში, რომელიც ცოტა ხნის წინათ გახდა კრაკოვის ეროვნული მუზეუმის საკუთრება, XI-XVIII საუკუნეების 11 ქართული ხელნაწერია დაცული. მათ შორის სამი ეტრატზეა შესრულებული. წინასწარი ინფორმაციით, ოთხი ხელნაწერი უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია, ხოლო ექვსმა მეტნაკლები სიმძიმის დაზიანებებით მოაღწია ჩვენამდე.

ქართველი სპეციალისტების დასკვნის შემდეგ ქართული და პოლონური მხარეები ხელნაწერთა რესტავრაციის დეტალებზე შეთანხმდებიან.



გოგი გვახარია: „კინოში თამბაქოს ჩვენების აკრძალვა რა სისულელეა?“

კინომცოდნე გოგი გვახარია მთავრობის მიერ მიღებულ ახალ კანონს აკრიტიკებს, რომელიც თამბაქოს აკრძალვას ეძღვნება.

გოგი გვახარია:

– კინოში თამბაქოს ჩვენების აკრძალვა რა სისულელეა? ძველ ქართულ ფილმებს რას უპირებთ? გაგახსენებთ, რომ თავის დროზე „მშრალმა კანონმა“ კინაღამ გადაიყოლა მიხეილ გორბაჩოვი. დაიმახსოვრეთ, შემოქმედებით პროცესში ჩარევა არის დანაშაული, რომლისთვისაც ყოველთვის, ყველა ეპოქაში მოეკითხებოდა ხოლმე ცენზორს.

ჰო... და ცენზურა არასდროს არაა „ბოროტი“. ის ყოველთვის და ყველგან იმით იმართლებს თავს, რომ ადამიანთა ზნეობის და ჯანმრთელობის დაცვისთვის არსებობს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

3 მაისისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4552

ევრო — 2.9529

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3612

100 რუსული რუბლი — 3.8694

ამინდის პროგნოზი 3 მაისისთვის

3 მაისიდან

„50 ცნობილი ქართველი ქალის 300 რეცეპტი“

წიგნი ა4 ფორმატისაა, აქვს მაგარი ყდა, დაბეჭდილია ცარცის ქაღალდზე და მთლიანად ფერადია.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

სუმოისტებმა ბავშვები აატირეს

ტოკიოს სენსო-ძის ტაძარში გაიმართა ყოველწლიური ფესტივალი „ნაკი სუმო“, რომლის დროსაც სუმოს მებრძოლები ჩვილებს ატირებენ.

სუმოისტებს, რომლებიც ტრადიციულ სამოსში იყვნენ გამოწყობილები, ხელში ეჭირათ ერთ წლამდე ასაკის ბავშვები. ნიშნის მიცემისთანავე მოჭიდავეებმა დაიწყეს უცნაური ხმების გამოცემა და სახის მანჭვა, ხოლო მსაჯის მოვალეობის შემსრულებელი განუწყვეტლივ იმეორებდა: „იტირე! იტირე! იტირე!“ გამარჯვებული გახდა ის ბავშვი, რომელიც სხვებზე უფრო მალე და ხმამაღლა ატირდა.

ფესტივალს, რომელიც ოთხი საუკუნის წინ ჩაისახა, საფუძვლად უდევს იაპონური რწმენა, რომ ახალშობილის ტირილი ავსულებს აფრთხობს, ხოლო თავად ბავშვი, რომელიც ბევრს ტირის, ჯანმრთელ და წარმატებულ ადამიანად იზრდება. ბავშვის „ნაკი სუმოში“ მონაწილეობისთვის მშობლები 10 ათას იენს იხდიან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ფრენკ ლამპარდი: „რეალს ისევ გაუმართლა“

ლონდონის ჩელსის ლეგენდა ფრენკ ლამპარდი რეალის ჩემპიონთა ლიგაში გასვლას გამოეხმაურა და თქვა, რომ სამეფო გუნდს გაუმართლა.

ლამპარდის აზრით, ფინალში თამაში ბაიერნმა დაიმსახურა:

– ორივე შეხვედრას ვუყურე და ვთვლი, რომ ფინალში ბაიერნი უნდა გასულიყო, მაგრამ მათ ინდივიდუალური შეცდომები დაუშვეს, რაც ძვირი დაუჯდათ. საინტერესოა, ფინალშიც თუ გაუმართლებს რეალს. ვფიქრობ, მათ იღბლის მარაგი ამოწურეს და ფინალში დამარცხდებიან.

ლამპარდმა ჩემპიონთა ლიგა ჩელსისთან ერთად 2012 წელს მოიგო.

ხამესმა ბაიერნის ფანები გააღიზიანა

ბაიერნის ერთ-ერთმა ფანკლუბმა ხამეს როდრიგესი გააკრიტიკა. ეს იმის გამო მოხდა, რომ ხამესმა გატანილი გოლი არ აღნიშნა და ერთ-ერთ ეპიზოდში ბურთი მოედნის გარეთ გადააგდო, როდესაც ბაიერნი უტევდა და მარკო ასენსიო მოედანზე იწვა.

ბაიერნის ფანების ნაწილმა ხამესს მოღალატეც კი უწოდა და თქვა, რომ ის რეალში უნდა დაბრუნდეს, რადგან ბაიერნში თამაშს არ იმსახურებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ცოლ-ქმარი სტუმრად მიდიან, სახლში ხუთი წლის ბავშვს მარტო ტოვებენ. მამა შვილს არიგებს:

– კარი არავის გაუღო. ახლოსაც კი არ მიხვიდე. რომ დავბრუნდებით, ჩვენი გასაღებით თვითონვე გავაღებთ კარს! გასაგებია?

– გასაგებია, მამიკო!

მშობლები სახლიდან გავიდნენ, მაგრამ ცოლი ვერ ისვენებს, ნერვიულობს. ქმარი ეუბნება:

– ახლავე დავბრუნდები და შევამოწმებ...

მამა კარზე აკაკუნებს. შიგნიდან ბავშვი ეკითხება:

– ვინ არის?

– გაზის ინკასატორი ვარ, შესამოწმებლად მოვედი.

– წადი შენი დედა... ჩვენ შეშით ვთბებით!

●●●

დილით მამაკაცს გაეღვიძა, ხელი მარჯვნივ მოაფათურა, სიცარიელეა, მერე მარცხნივ, იქაც იგივეა. შემდეგ საბანი ასწია, ქვევით ჩაიხედა და კითხულობს:

– რას დგახარ?.. ვის ელოდები?...

●●●

სახლში დაბრუნებულ ქმარი ცოლმა შესასვლელიდანვე საყვედურებით აავსო, – – არაფერი გაინტერესებს, მხოლოდ სასმელი და მეტი არაფერი.

ქმარმა ჯიბიდან ფურცელი ამოიღო და ეუბნება:

– ახლა გაჩერდი! აი, ტესტი მოვიტანე და ახლა ვნახავთ, როგორი კულტურული და განათლებულიც ხარ!

– მიდი, დაიწყე!

– ასეე, პირველი შეკითხვა – დამისახელე ორი უცხოური ვალუტა.

– მაგას რა უნდა, დოლარი და ევრო.

– კარგი. შემდეგი. დამისახელე ჩასახვის საწინააღმდეგო ორი საშუალება.

– თუნდაც ათს დაგისახელებ.

– მჯერა. მესამე შეკითხვა – ისლანდიის ორი მდინარე დამისახელე. დუმხარ? ასეც ვიცოდი! შენ ხომ ფულის და სექსის მეტი არაფერი გაინტერესებს!

●●●

ქალი დაქალს უყვება:

– გუშინ მე და ჩემ ქმარს კურიოზი დაგვემართა.

– რა მოხდა?

– ლოგინში ვიწექით, კარზე რომ დააკაკუნეს და ორივე კარადაში დავიმალეთ...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

საუბეთესო ექიმები მიიღებ ეპირიდები

მარსელო: „ვალიარებ, რომ ბურთი ხელში მომხვდა“

მადრიდის რეალის მცველმა მარსელომ აღიარა, რომ ბაიერნთან შეხვედრის დროს მას საჯარიმოში ბურთი ხელში მოხვდა, მაგრამ ამ მომენტს მატჩის ბედზე გავლენა არ მოუხდენია:

– ბურთი ხელში ნამდვილად მომხვდა, ამიტომ მსაჯს შეეძლო პენალტის დანიშვნა. ზოგადად მსაჯებზე საუბარს არ ვაპირებ და ვთვლი, რომ ფინალში გასვლა დავიმსახურეთ. ზედიზედ მესამედ ფინალში თამაში უდიდესი წარმატებაა, – განაცხადა მარსელომ.

რეალის და ბაიერნის შეხვედრა ფრედ 2:2 დასრულდა და ეს შედეგი რეალს აძლევდა ხელს, რომელიც ზედიზედ მესამედ შეეცდება ჩემპიონთა ლიგის მოგებას.

სვენ ულრაიხი: „გულშემატკივარს ბოდიშს ვუხდი“



მიუნხენის ბაიერნის მეკარე სვენ ულრაიხი, რომელმაც რეალის წინააღმდეგ ძალიან უხეში შეცდომა დაუშვა, ბაიერნის გულშემატკივარს ბოდიშს უხდის.

ულრაიხის თქმით, მისთვის გაუგებარია, თუ რატომ დაუშვა მან ეს შეცდომა.

– იმ ეპიზოდზე მთელი ცხოვრება ვიფიქრებ. ძალიან დამწუხრებული ვარ, რომ ჩემპიონთა ლიგას დავემშვიდობეთ, მაგრამ ვამაყობ, რომ ბაიერნის ფეხბურთელი ვარ. ჩვენ ფინალში გასვლა დავიმსახურეთ, მაგრამ ფორტუნამ ზურგი გვაქცია, – განაცხადა სვენ ულრაიხმა. ულრაიხის შეცდომის შემდეგ გოლი კარიმ ბენზემამ გაიტანა.

ანტუან გრიზმანი ბარსელონაში გადასვლას უახლოვდება



მადრიდის ატლეტიკოს ფორვარდი უკვე აღარც მალავს, რომ სხვა გუნდთან მოლაპარაკებებს აწარმოებს და ეს გუნდი, სავარაუდოდ, ბარსელონაა.

გრიზმანის ცოლი რამდენიმე დღის წინ ბარსელონაში შენიშნეს, სადაც ის სახლს ეძებდა, სავარაუდოდ, ეს გრიზმანის ბარსელონაში ტრანსფერს უკავშირდება.

ბარსელონა გრიზმანში, სავარაუდოდ, 100 მილიონ ევროს გადაიხდის და ზაფხულის დასაწყისში ეს ტრანსფერი ოფიციალური გახდება.

ატლეტიკოს მწვრთნელმა დიეგო სიმეონემ აღიარა, რომ გრიზმანს სხვა კლუბში სურს გადასვლა, ამიტომ ყველაფერი ცხადია და ზაფხულში გრიზმანი ბარსელონას ფეხბურთელი გახდება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. მწყრის მართვე; 2. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 3. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 4. მაკედონიის დედაქალაქი; 6. კუნძულოვანი სახელმწიფო კარიბის ზღვაში; 9. მოგზაურობა წრიული მარშრუტით; 11. ზღვისპირა კურორტი ლატვიაში; 15. უბანი თბილისში; 16. მწვანით მოსილი, წყლიანი ადგილი უდაბნოში; 17. სამონასტრო კომპლექსი ქარელის რაიონში; 19. ჩრდილოეთ ირლანდიის ისტორიული სახელწოდება; 21. ქორშევარდენთა გამწვრთნელი; 22. თურქული აბანო.

თარაზულად: 5. მდინარე მექსიკასა და აშშ-ში; 7. ქართველი მოდელიერი ქალი; 8. მორის რაველის ცნობილი საორკესტრო ნაწარმოები; 10. ჭაობში ბინადარი სისხლისმწოველი ჭია; 12. ფულის ერთეული ჩინეთში; 13. არყის სასმელი პატარა ჭიქა; 14. ქაღალდის ფულის შემსწავლელი დისციპლინა; 18. ზმნის წარსული დრო გრამატიკაში; 20. ქართული ნაციონალური კერძი; 23. ანსამბლ „როლინგ სტოუნზის“ ლიდერი; 24. ოჩიაურის ქანდაკება ბიჭვინთაში; 25. ბუღალტრული ბალანსის ნაწილი ვალებისა და ვალდებულებების შესახებ; 26. თხუნელას მეორე სახელწოდება; 27. მიწის თხილი.

შეადგინა თ.კობალეიშვილმა